№ 2963
კვირა,
4 დეკემბერი

# ცნობის ფურცელი

№ 2963
კვირა,
4 დეკემბერი

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ა° ნ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Моамбе". ტელეფონი № 372

შეკერილ ტანისამოსის
ახლად გახსნილ მაღაზიაში
„ექსელანს" გოლოვინის პროს., ტფილისის საკრებულოს ქვეშ, სახლი მანთაშევისა.
არის
დიდძალი კაცის, ქალის და ბავშვის ტანისამოსი, ფორმის ტანისამოსი ყველა სასწავლებლის და სამოქალაქო დაწესებულებისა. შეიძლება შეკვეთა კაცისა და ქალის ტანისამოსისა. განუწყვეტლივ მოგვდის ყველაფერი, რაც ახალია ბერლინისა, პარიზისა და ოსკოვის სავაჭრო სახლიდან.
მოიპოვება ყოველ გვარი საქონელი საზღვარ-გარეთის და რუსის ქარხნებისა. მთელი მასალა, დამზადებული საკუთარ ქარხანაზე ადესაში, შეძლებას აძლევს „ექსელანს"-ის მაღაზიას მეტად იაფი ფასები დანიშნოს.
საქონლის ყიდვა შეუვაჭრებლად
„ექსელანსის" მაღაზიას სრული იმედი აქვს, რომ ტფილისის პატივცემული საზოგადოება პირადად მობრძანდება და გაიცნობს ყველაფერს. (50—6.—41)

მოწოდება
ყველა მანდილოსანთ ეროვნებისა და სოციალურ მდგომარეობის განურჩევლად.
ხშირ გაფიცვებისა და მისვლა-მოსვლის შეწყვეტის გამო, დაგვიანდა გამოწერილ სხვა და სხვა საქონლის მიღება. ამის მიზეზით კაჭრობა შეფერხდა. ამიტომ
ა. ო. მელიქ-მუშკამბარიანცის
სამოდო და სამანუფაქტურო საქონლის მაღაზია (გოლოვინის პროსპ., № 16, სახლი სტეფანოვისა), რომელსაც აქვს 125.000 მანათის საქონელი, მიღებული გაფიცვებამდე რამდენისამე დღის წინად,
ნიშნავს
დიდს და იაფს გასყიდვას ამა წლის 25 ნოემბრიდან 25 დეკემბრამდე მხოლოდ საფაბრიკო ფასებით,
გაისყიდება ბევრი სხვა და სხვა მატერია დედა-კაცისა და მამა-კაცის ტანისამოსისათვის: აბრეშუმის, შალის, მაუდის, ტილოს, ქაღალდის ნაქსოვისა. გარდა ამისა, საბნები პლიუშის, ბაიკის, ნაქსოვი და სხვა საქონელი.
ისყიდება შეუვაჭრებლად (10—7)

ამა წლის ექვს დეკემბრიდან გამოვა
ყოველდღიური სოციალდემოკრატიული გაზეთი
„სხივი"
ჩვენი გაზეთი კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციების ორგანოა. რევოლიუციონურ პროლეტარიატის თავგანწირულმა ბრძოლამ თვითმპყრობელობის კედელი შეანგრია და მთელ რუსეთს სიტყვის თავისუფლება მიანიჭა. ის ახლა სარგებლობს ამ ახალ იარაღით, რომ მით კიდევ უფრო გაამაგროს თავისი პარტია, სოციალდემოკრატია, და მედგრად გასწიოს წინ თავის მიზნისაკენ.
„სხივი" წელიწადში ღირს 6 მანეთად, თვეში 50 კ., თითო ცალი 3 კაპ.
რედაქციის ადრესი: ველიკოკნიაჟესკაია ქუჩა № 17. (ვორონცოვის ძეგლიდან მე-9-ე სახლი).
ხელის მოწერა მიიღება:
ტფილისში
ვერის უფასო სამკითხველოში ნინა კალანდარიშვილთან. წერა-კითხვის საზოგადოების გამავრცელებელ საზოგადოებაში ქუჩუკაშვილთან. ნაძალადევის უფასო სამკითხველოში მარიამ ელიავასთან. ვაგზალზე 1 კლასის ბუფეტში შალვა ქანტურიშვილთან.
ტფილისს გარეთ.
ადგილობრივ სოც.-დემ. მუშათა ორგანიზაციებში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ Редакція „СХИВИ".

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში
მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.
მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი
მ. გ. ალაჯანოვი. 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობანი.
პ. ნ. ეგიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.
პ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
გ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.
ი. ე. ავეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
მ. პ. კიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.
მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.
პ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—35)

მედიცინის დოქტორი
მ. ი. მურადოვი
ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10 დან—11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (50—368—34)

მედიცინის დოქტორმა
გ. ი. გურგენოვმა,
შტატის ორდინატორად ნამყოფმა ხარკოვის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკაში, განაახლა საბებიო და ქალის სნეულობით ავადმყოფთა მიღება. დილით 10—12 საათზე, საღამოთი 5—6 საათზე. გოლოვინის პროსპ., სახ. მდივნისა, № 12, საარტისტო საზოგადოების შენობის პირდაპირ. (თგ.—406—22)

ექიმი
მ. პ. ბეზირგანოვი
სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 1/2 საათ. (თგ.—18)

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი
იღებს შინაგან (სპეციალურად ფილტვის) ავადმყოფებს და ბავშვებს. გასინჯვა და მკურნალობა რენტგენის სხივებით. ავადმყოფები მიიღებიან დილით 10—12 ს. საღამოთი 5—7 ს.-მდე. მიხეილის პროსპ. № 154. (თგ.—371—35)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 8—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 18. (წლ).

კბილის ექიმი
ი. ზ. ძანძლაკი
გადავიდა ახალ ბინაზედ მიხეილის პროსპექტი, № 44, სახლი აბულაძისა.
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთებს პლომბებს, სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს ყოველ გვარ მეთოდზე, დილის 9—2 და საღამოს 4—6 საათამდე. (თგ.—80—36)

ექიმი
პ. ა. არდაზიანი
იღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს დილის 7—8 ს. და 4—7 ს. საღ. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა.
ადრესი: ელისაბედის ქ. № 160. (16—024—16)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეობით 10—1-მდის.

ტფილისის ქალაქის
თვითმმართველობა
სთხოვს ყველა სახლის პატრონს, ვისაც თავიანთ სახლების დაცვის ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღება სურს, მობრძანდნენ გამგეობაში მოსალაპარაკებლად. გამგეობაში მოსვლა შეიძლება ყოველ დღე, კვირა უქმეებს გარდა, 10-დან 2 საათამდე. (2—6.—2)

**ტფილისი, 4 დეკემბერი.**

**რევოლუცია და მშრომელი ხალხი.**

როგორც გაზ. „რუს. სლ." გადმოგვცემს, ამ დღეებში უნდა გამოიცეს ახალი მანიფესტი გლეხთა შესახებ. მანიფესტში გამოცხადებული იქნება გლეხთა მიწათ-მფლობელობის გაფართოვება სახაზინო და საუფლისწულო მამულების მიზომით. თუ ეს ამბავი რამდენადმე მაინც მართალია, შესაძლებელია რუსეთის რევოლიუციის ახალი ხანა დაიწყოს. ბევრი ითქვა ამ მოკლე ხნის განმავლობაში [illegible] შესახებ, რომ რუსეთის რევოლიუცია არ არის მარტო პოლიტიკური, იგი სოციალისტურიც არისო; გლეხთა აღელვების შემდეგ რევოლიუციის ახალი ხანა დადგაო, რადგან ეს მოძრაობა არ არის სტიქიური, რადგან გლეხები ბევრგან დიდ შეგნებულებას იჩენენო და თავის საკუთარ მოთხოვნის გარდა საერთო პოლიტიკურ მოთხოვნასაც უერთდებიანო.

ეს ასეც უნდა ყოფილიყო. გლეხობა მართლაც დიდი და ძლიერი ოპპოზიციონური ელემენტია იმ დრომდე, სანამ მთავრობა ვერა პოულობს მასთან მორიგების წერტილს. გლეხობა მართლაც არ გატყდება და თავის სოციალურ მოთხოვნილებას ძალიად მიაღებინებს რუსეთის რევოლიუციას, ვიდრე მთავრობა გენერალ სახაროვისებურ პოლიტიკას ადგია. დროა შეიგნოს მთავრობამ, რომ თუ იგი სამარცხვინო როზგებით ალაგ-ალაგ ანთებულ მოძრაობას აქრობდა, საყოველთაო ამბოხების ჩაქრობა ამისთანა ზომებით შეუძლებელია და ამგვარ პოლიტიკის შედეგი ყოველთვის ისეთი იქნება, როგორიც აქ შემთხვევაში იყო, ე. ი. გლეხებს იმ აზრამდე მიიყვანს, რომ საშველი არა არის-რა, უნდა უკანონო საშუალებას, ტერრორს მივმართოთო; და, თუ მთავრობის საქციელი გლეხობას ამ დასკვნამდე მიიყვანს, მაშინ, ყველამ იცის, რა უბედურება, რა ანარქია მოჰყვება. თითქოს უგრძვნია კიდეც ეს ოცის წლის განმავლობაში თავის ძლიერებით დამთვრალს და თავ-ბრუ დახვეულ ბიუროკრატიას და სცდილობს ის ხერხი იხმაროს, რაც სამოციან წლებში იხმარა: დააკმაყოფილოს გლეხობა, შეიერთოს იგი და მასთან ერთად თავს დაესხას და ჩააქროს რევოლიუციონური მოძრობა.

ამგვარი ხერხი ხშირად უხმარია სხვა ქვეყნების მთავრობასაც. გლეხობა, როგორც მშრომელ ხალხის უფრო შეუგნებელი ნაწილი, მხოლოდ დრომდე მისდევდა და მხარს უჭერდა მოძრაობას; ხოლო როდესაც მთავრობა დააკმაყოფილებდა, იგი ზურგს იბრუნებდა და ეწინააღმდეგებოდა პროგრესსიულ ძალებს. ასე მოხდა, მაგალითად, გერმანიაში. ამაზედვე ამყარებენ ზოგნი თავიანთ აზრს, რომ გლეხობა რეაქციონური ელემენტია და იგი პროგრესსიულ მოძრაობას ბოლომდის მხარს ვერ დაუჭერსო. მაგრამ ისტორიულ მოვლენების ცალ-ცალკე განხილვაზე არ შეიძლება ჩვენის ზოგად აზრის დამყარება. როგორც სამოციანი წლები რუსეთში, ისე გერმანიის რევოლიუცია სულ სხვა ისტორიული მომენტები იყო, ვიდრე ეხლაა რუსეთში: ჩვენი ზოგადი დასკვნა კი იმას გვეუბნება, რომ ყოფილა ისტორიაში ისეთი შემთხვევაც, როცა გლეხი ასე არ მოტყუებულა და შესაძლოა არც ეხლა მოტყუვდეს, თუ მხედველობაში არ მივიღეთ გლეხთა ის უმცირესი ნაწილი, რომელიც დღესაც კი კმაყოფილია თავის ეკონომიურ მდგომარეობით. თუ გლეხობა რუსეთში საკმაოდ მომზადებული არ აღმოჩნდა, მაშინ რუსეთს უფრო დიდი ხიფათი მოელის, ვიდრე ეს მოხდა გერმანიაში რევოლიუციის დროს. საქმე ის არის, რომ რუსეთში რევოლიუციას ჰქმნის მშრომელი ხალხი და არა ბურჟუაზია. ეს იქიდანაცა სჩანს, რომ ლიბერალური ინტელიგენცია დღემდის ვერა პოულობს ნიადაგს. იგი რყევასა და ყოყმანშია და არ იცის, ვის შეუერთდეს: მარცხნივ მიიწიოს, თუ მარჯვნივ. ამ ორის კვირის წინად ყველას მისკენ ჰქონდა მიქცეული ყურადღება; ყველას ეგონა, რომ იმისი მოქმედება ასე თუ ისე გადასწყვეტს საქმესო, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. ლიბერალურმა ინტელიგენციამ საქმე გადასწყვიტა, კრებების რეზოლიუციაც გამოსცა დიდის ხმის უმეტესობით, მაგრამ მაინც არა გამოვიდა რა. დღემდის იმისი ხმა არსად ისმის. ბევრს სწერდნენ იმაზედაც, რომ ვიტტე სცდილობს ლიბერალებს დაუახლოვდესო, მაგრამ, ვიმეორებთ, დღემდის არა ისმის რა მათი. დურნოვო ისევ ძველებურად მეფობს მინისტრთა კაბინეტში, ნელ-ნელა სპობს და აბათილებს 17 ოქტომბრის მანიფესტს, ფრთებს აჭრის მოპოვებულ თავისუფლებას და ალბად სცდილობს ასეთის თან და თანის შეკვეცით ბოლოს ისევ ძველებური ბიუროკრატიული ფორმულა დასტოვოს სახელმწიფოს ძირითად კანონად. ალბად, ამ ლიბერალებს რეალური ძალა არ მოეპოვებათ, იმათ აზრებს ხალხში ნიადაგი არა აქვს, რომ ასე უნაყოფოა მათი მოქმედება. სხვა ქვეყნებში კი, სადაც ბურჟუაზია ძლიერი ყოფილა, სადაც მას პროგრესის დროშა სჭერია ხელში, ამ ქვეყნებში, ვამბობთ, თვითმპყრობელობის დაცემის მეორე დღესვე მართვა-გამგეობის საქმე მას ჩაუგდია ხელში. ცოტა სხვანაირად მოხდა გერმანიაში, სადაც რუსეთის მსგავსად ბურჟუაზია ძლიერ სუსტი იყო. იქაც მდგომარეობა ამგვარი იყო, მაგრამ მთავრობა თავის სასარგებლოდ ხერხიანად მოიქცა: ის ჰხედავდა, რომ ბურჟუაზია უფრო საშიში მტერი იყო მისთვის, ვიდრე მშრომელი ხალხი. ამიტომ ეცადა დაეკმაყოფილებინა იგი, გაემწვავებინა ბრძოლა ბურჟუაზიისა და მშრომელ ხალხს შორის, რომ ორივე ხელში ჩაევდო. ბურჟუაზიას შეეშინდა მუშათა კლასსის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და აღუდგა წინ ამ რეფორმებს. ამგვარად მან ორი მტერი მოიპოვა და დამარცხებული დარჩა. მეორე მხრივ მუშათა კლასმაც ვერ ჩაიგდო ხელში მართებლობა, რადგან იგი საკმაოდ ძლიერი არ იყო, და საქმე იმით გათავდა, რომ გერმანიაში დამყარდა ნახევრად აბსოლიუტისტური მართებლობა.

ყველა ამას რუსეთშიაც უნდა მოველოდეთ. ჯერ-ჯერობით-კი მხოლოდ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ რუსეთში მუშათა კლასსი და გლეხობა უფრო ძლიერი და შეგნებულია, ვიდრე გერმანიაში იყო, და შეგვიძლიან იმედი ვიქონიოთ, რომ მშრომელ ხალხის დამარცხება ჩვენში არ გამეორდება და, თუ გერმანიას მისმა განსხვავებამ სხვა ქვეყნებისაგანაც ავნო, რუსეთს შეიძლება სწორედ ამან არგოს. აი ამიტომა გვაქვს იმედი, რომ რუსეთის რევოლიუცია არ არის და არ იქნება მხოლოდ პოლიტიკური; იგი იქნება სოციალურიც. ერთის სიტყვით, იმედია, რომ ჩვენში რევოლიუცია შეანგრევს კედელს ბურჟუაზიულ წესწყობილებისას, რომ შემდეგ უფრო გაადვილდეს ამ კედლების დანგრევა და ახალის აშენება.

* * *

**გლეხები და სოციალდემოკრატია**

რუსეთის სოციალდემოკრატების ერთი ახალი გაზეთი პირველს სარედაქციო წერილში აცხადებდა, გლეხობის გამოსვლა საპოლიტიკო ასპარეზზე შეიტანს პარტიების ბრძოლაში მათ ეკონომიურ მოთხოვნათა და ეკონომიურ შეუძლებლობათა **სრულს უთავბოლობასო**. რა აზრს და მნიშვნელობას აძლევდა სოციალდემოკრატიული გაზეთი მაშინ თავის სიტყვებს, ეს ჯეროვანის გარკვეულებით არ იყო გამოთქმული, მაგრამ თანდათან ცხად ჰხდება, რომ გლეხთა მოძრაობას **უთავბოლობა** ყოვლის უწინარეს სოციალდემოკრატების პროგრამაში შეაქვს.

კარგად გვესმის, რომ ჩვენი ამაყი სოციალდემოკრატები, რომელთაც თავისი თავი ყოველ შემცდარ აზრისაგან დაზღვეულად მიაჩნიათ მარქსიზმის ფილოსოფიით, ძალიან გაგვიწიწმატდებიან, მაგრამ გვესმის ისიც, რომ მუდმივი ერთფეროვანი აპელიაცია მარქსიზმისა და წინააღმდეგობის ლოღიკისკენ ვერაფერი საბუთია იდეიურ მოპირდაპირის დასამარცხებლად.

სოციალდემოკრატიის ოფიციალურ პროგრამაში, რომელიც დამტკიცებულ იქმნა პარტიის მეორე ყრილობაზე ორიოდე წლის წინად, გლეხების შესახებ ვკითხულობთ: „რათა მოისპოს ბატონყმობის ნაშთები, რომელნიც მძიმე ტვირთად აწვებიან გლეხებს, და რათა გაიკაფოს გზა სოფლად კლასსთა ბრძოლის თავისუფალ განვითარებისთვის, პარტია ყოვლის უწინარეს მოითხოვს: 1) გამოსასყიდ, საბრიკო და ყველა სხვა გადასახადების გაუქმებას, რომლებიც-კი ეხლა გლეხობას აწვება კისრად, როგორც მოხარკე წოდებას; 2) გაუქმებას ყველა კანონებისა, რომელნიც-კი ავიწროვებენ მიწის განკარგულების (სყიდვის და დაგირავების) უფლებას გლეხისთვის; 3) დაბრუნებას გლეხთათვის იმ ფულისას, რომელიც მათ გადაიხადეს გამოსასყიდ და საობროკო გადასახადთა სახით; ამ მიზნით უნდა მოხდეს სამონასტრო, საეკლესიო, საუფლისწულო, საკაბინეტო და მეფის საგვარეულოს წევრთა საკუთარ მიწების კონფისკაცია; ამასთანავე განსაკუთრებითი გადასახადი უნდა შეეწეროს იმ თავად-აზნაურთა მამულებს, რომელთაც ისარგებლეს გამოსასყიდის სესხით; თანხა, რომელიც ამ წყაროებიდან შესდგება, უნდა გადაიქცეს განსაკუთრებით საერო ფონდად, რომელიც დააკმაყოფილებს სოფლის საზოგადოებათა კულტურულ და ქველმოქმედების საჭიროებებს; 4) უნდა დაწესდეს საგლეხო კომიტეტები: ა) რათა დაუბრუნდეს გლეხთა საზოგადოებებს (ექსპროპრიაციის საშუალებით ან თუ მამული ხელიდან ხელში გადადიოდა— [illegible] სახელმწიფოსაგან მსხვილ სათავად-აზნაურო მიწათმფლობელობის ხარჯზე) ის მიწები, რომლებიც ჩამოაჭრეს გლეხებს ბატონყმობის გაუქმების დროს და მემამულეების ხელში გადაიქცნენ გლეხთა დამონავების იარაღად; ბ) რათა კავკასიის გლეხებს საკუთრებად გადაეცეთ მიწები, რომლებითაც ისინი სარგებლობენ, როგორც დროებით ვალდებულნი, ხიზნები და სხვა; გ) რათა გაუქმებულ იქმნან ბატონყმობის ნაშთები ურალზე, ალტაიზე, დასავლეთ მხარეში და სხვა ადგილებში; 5) სასამართლოებს უნდა მიენიჭოს უფლება საიჯარო ფასების შემცირებისა და ისეთ ხელშეკრულობათა გაუქმებისა, რომლებსაც დამამონავებელი ხასიათი აქვთ".

საკმარისია ოდნავ ჩაუკვირდეთ ამ პროგრამის ხუთს მუხლს, რომ აშკარად დაინახოთ, რა მცირედს, თითქმის უმნიშვნელო შეღავათს ჰპირდებოდა გლეხობას რუსეთის სოციალდემოკრატია. მარქსიზმის დოგმატიურ მიმდევრებისთვის თვით ამ პროგრამის შეთხზვის დროს ცხადი იყო, რომ იგი სავსებით მაინც და მაინც ვერ დააკმაყოფილებდა გლეხების მისწრაფებას, გლეხების საჭიროებას, ვერ გამოაბრუნებდა მათს ეკონომიურ მდგომარეობას, მაგრამ ეს მოსაზრება მათის წარმოდგენით სრულიად საკმარისი არ იყო მოთხოვნების გასაფართოვებლად; პირიქით, ისინი პირდაპირ ამბობდნენ, რომ გლეხობის მომავალი უნუგეშოა, გამოუბრუნებული, გლეხებს აუცილებლად გაღატაკება, გაპროლეტარება მოელით, და ამიტომ სოციალდემოკრატია ამ აუცილებელ ისტორიულ მომავალს-კი არ უნდა გაუმკლავდეს, კი არ უნდა შეებრძოლოს, პირიქით უნდა აჰყვეს იმას, როგორც ნაფოტი წყალს, შეაგნებინოს გლეხებს მათი უნუგეშო მომავალი, დაუახლოვოს პროლეტარიატს და ამ გვარად გააფართოვოს სოციალიზმისთვის მებრძოლი სოციალდემოკრატიული რაზმიო.

სოციალდემოკრატების იდეიური მოწინააღმდეგენი, სხვათა შორის, ჩვენი გაზეთის თანამშრომელნიც, ერთის მხრივ ააშკარავებდნენ ჩამონაჭრების პროგრამის სიკიწროვეს და მეორის მხრივ აღნიშნავდნენ, რომ ეს პროგრამა თუმცა სუსტად, მაგრამ მაინც პირდაპირ გლეხთა გაპროლეტარების წინააღმდეგ იყო მიმართული და ამიტომ პრინციპიალურად შეუთანხმებელი და შეურიგებელი რჩებოდა გაპროლეტარების მოძღვრებასთან, რომელსაც

სოციალდემოკრატები თავის პრაქტიკულ მოქმედების მთავარ წყაროდ სთვლიდნენ, როგორც გარდამავალ ანუ დროებითს იდეალს. ჩვეულებრივის, ადამიანურის ლოღიკის საშუალებით რომ ვერ დაარღვიეს ჩამონაჭრების დამცველებმა მოპირდაპირეთა მოსაზრებანი,—წინააღმდეგობათა ლოღიკას მიჰმართეს და იმისგან ელოდნენ ხსნას: ამ გვარიდ მოპირდაპირეებმა დაჰკარგეს მსჯელობისთვის საჭირო საერთო ნიადაგი და საცილობელ საკითხის გადაწყვეტა მიანდეს თვით ცხოვრების მიმდინარეობას. უამისოდაც ძლიერი და მხნე პროპაგანდა გლეხთა და მუშათა შორის უფრო გაძლიერდა, უფრო გაფართოვდა. იდეიური მოწინააღმდეგენი ხშირად ხალხის წინაშე ჰხვდებოდნენ ერთმანეთს და ხალხს ანდობდნენ სადაო საგნის გადაწყვეტას. ხალხმა, უმთავრესად გლეხობამ თითქმის რუსეთის მთელს ტერიტორიაზე უარჰყო ჩამონაჭრების პროგრამა და პირდაპირ მოითხოვა მშრომელ გლეხობის ხელში გადაცემა **ყველა მიწებისა.** ნოემბერში ლეგალურად მოხდენილს გლეხთა წარმომადგენლების კრებაზე ერთხმად მიღებულ იქმნა რეზოლიუცია, რომელიც ყველა მიწებს ითხოვს მშრომელ ხალხისთვის და არა მარტო ჩამონაჭრებს.

ამგვარად, სოციალდემოკრატია იძულებული შეიქნა ან გლეხთა სურვილის წინააღმდეგ წასულიყო და ან თავისი პროგრამა შეეცვალა: სხვა გზა, სხვა სალსარი არ მოიპოვებოდა. სოციალდემოკრატებმა მთელს ქვეყანას „გამოუცხადეს“ და ეხლაც უცხადებენ, რომ მათ ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი პროლეტარიატი აძლევს მიმართულებას რუსეთის ეხლანდელს რევოლიუციას, რომ მარტოოდენ ისინი, სოციალდემოკრატები არიან ჭეშმარიტნი და წარბ შეუხრელნი რევოლიუციონერები, სხვები კი მხოლოდ მათის პირდაპირის და არა პირდაპირის გავლენის ქვეშ იმყოფებიან; სოციალდემოკრატებმა იგრძნეს, რომ რევოლიუციის ავანსცენაზე გადმომდგარი გლეხობა, ეს მძლეთა მძლე ძალა, რევოლიუციის მეთაურად, რუსეთის ბედ-იღბლის გადამწყვეტად გადიქცა უკვე ან დღე-დღეზედ გადაიქცევა, და გამოაცხადეს, **გლეხობა უთავბოლობას შეიტანს პარტიათა ბრძოლაშიო.**

ეხლა გვესმის, რა აზრი აქვს გაზეთ „ნაჩალოს“ სარედაქციო წერილში მოხსენებულ „უთავბოლობას“. უთავბოლობა ის არის, რომ სოციალდემოკრატების პარტია განსაცდელში ჩავარდა: ან პროგრამა უნდა შეეცვალა და ან პირდაპირ დაენახვებინა მთელი ქვეყნის [illegible] არ თანაუგრძნობს, ყველა მიწების მშრომელ ხალხის ხელში ჩაგდებას ეწინააღმდეგება. გლეხების პირდაპირი სოციალური მტერი მამულის პატრონები არიან, ამიტომ გლეხებს პოლიტიკური ბრძოლა უხდებათ როგორც ეხლანდელ სახელმწიფოსთან, აგრეთვე მემამულეებთან. სოციალდემოკრატებს რომ წმინდად დაეცვათ თავისი პროგრამა, ისინი გლეხობის წინააღმდეგ მემამულეებთან და ეხლანდელ მთავრობასთან ერთად იქნებოდნენ, მაგრამ არც ერთი სოციალისტური პარტია დოგმების გავლენით ასეთს მდგომარეობაში ჩადგომას არ მოისურვებს და რუსეთის სოციალდემოკრატებმაც შესცვალეს თავისი პროგრამა. სატახტო ქალაქის სოციალდემოკრატიული გაზეთები და მათს ფეხის ხმაზე პროვინციის სოციალდემოკრატებიც ეხლა პირდაპირ აცხადებენ, მიწები მთლად გლეხობას უნდა გადაეცესო. გლეხობის გამოსვლამ პოლიტიკის ასპარეზზე უეცრივ მოახდინა ის, რასაც ხანგრძლივის მეცნიერულის და პუბლიცისტურის გამოკვლევებით ამაოდ სცდილობდა სარევოლიუციო სოციალიზმი: ლოღიკამ, აზრმა და მეცნიერებამ სოციალდემოკრატებს ეჭვიც-კი ვერ მიატანინა იმაზე, რომ მათი აგრარული პროგრამა უცხოველმყოფელობის ნამდვილს ცეცხლს, ერთად ერთს სიმართლეს არ წარმოადგენდა, გლეხობის პოლიტიკურმა გამოსვლამ-კი სწრაფად დაავიწყა მათ მარქსიზმის დოგმებიც, წინააღმდეგობათა ლოღიკაც და ჩამონაჭრებიც.

სარევოლიუციო სოციალიზმი და სოციალდემოკრატია დღესაც მთლად ერთსა და იმასვე არ ითხოვენ, დღესაც თვალსაჩინო განსხვავებაა დარჩენილი მათ პროგრამებს შორის, მაგრამ ამის შესახებ შემდეგ.

## მიწის მფლობელობა

### I. მიწა და კაპიტალი

დიდი ხანია მოისპო მონობა, ადამიანის პიროვნებას მიენიჭა უფლება, ყოველი ადამიანი თავისუფალია უფლებით, მაგრამ ეს თავისუფლება სიტყვიერია მხოლოდ და ნამდვილად-კი კაცობრიობის უმრავლესობა დღეს ისევ დამონავებულია, რადგან მოკლებულია საწარმოვო საშუალებას, დამოკიდებულია იმისაგან, ვისაც მიუთვისებია ეს საშუალება, საწარმოვო იარაღი—მიწა, მანქანები, მადნები, რკინის გზები და სხვა.

კაცობრიობის უმრავლესობა დღეს მწარმოებელი მუშაა მარტო, იარაღია სხვის გასამდიდრებლად, სხვის საბედნიეროდ, სხვისი მოსამსახურეა და არ ეკუთვნის თავის თავს. წინად თუ დაჩაგრული კაცობრიობა იბრძოდა უფლებისათვის, იურიდიულ განთავისუფლებისათვის, დღეს დამონავებულ მუშა ხალხს გამწარებული ბრძოლა აქვს ქონებრივ განთავისუფლებისათვის. მუშა ხალხი იბრძვის შრომის გასანთავისუფლებლად, იბრძვის საწარმოვო საშუალების კერძო საკუთრების წინააღმდეგ, რომ ყოველივე საწარმოვო იარაღი იყოს მუშა ხალხის საზოგადო საკუთრება.

მუშა ხალხის ბრძოლა ორის მხრით სწარმოებს: ერთის მხრით მუშა ებრძვის მიწის პატრონებს, მემამულეებს, მეორეს მხრით—კაპიტალის პატრონებს, რადგან მიწა და კაპიტალი ერთნაირად საჭიროა შრომისათვის. ხოლო მიწასა და კაპიტალს შორის არსებითი განსხვავებაა. მიწა დამოუკიდებელია ადამიანისაგან, მიწა ბუნების შექმნილია—მაშინ, როდესაც კაპიტალი ადამიანის შრომის ნაყოფია, [illegible] გაფართოვება არ შეუძლიათ ამ მიწაზე მცხოვრებ ადამიანებს, კაპიტალი-კი, რომელიც მათ ეკუთვნის, შეიძლება გაფართოვდეს ეკონომიურ განვითარებისა და კულტურის შემწეობით.

ამ განსხვავებიდან წარმოსდგება სხვა განსხვავებაც მიწის პატრონის შემოსავალი (მიწის რენტა) ემორჩილება სხვანაირ კანონებს, ვიდრე კაპიტალის შემოსავალი. კაპიტალის მოგება დამოკიდებულია ორის მიზეზისაგან, იმისაგან: თუ რამდენად უფრო ნაყოფიერია შრომა და რამდენად შრომის ნაყოფის მეტი წილი ეკუთვნის კაპიტალისტს. თუ ძლიერია მუშა, მას მეტი ქირა მიაქვს და კაპიტალის პატრონს ნაკლები მოგება რჩება. თუ უძლურია მუშა, მაშინ უფრო მოგებული რჩება კაპიტალისტი. კაპიტალისტური მოგება სოციალური მოვლენაა. იგი არსებობს იმიტომ, რომ არსებობს კაპიტალის კერძო საკუთრება.

მიწის შემოსავალი, რენტა კი იქნება მაშინაც, კერძო საკუთრება რომ მოისპოს; უკეთესი მიწა ან უკეთეს ადგილას მდებარე მიწა ყოველთვის მოიტანს ზედმეტს შემოსავალს მიუხედავად იმისა, თუ ვის ხელში გადავა ეს შემოსავალი—კერძო ადამიანის თუ საზოგადოების ხელში. ბუნებრივ თვისებისა გამო ერთნაირ შრომის დახარჯვის დროს ერთი მიწა მეტს ნაყოფს იძლევა, ვიდრე მეორე. ეს ზედმეტი ნაყოფი შეადგენს მიწის რენტას.

არის მეორე წყარო მიწის შემოსავლისა: ყოველ არსებულ ტეხნიკის დროს მიწათმოქმედების შრომას აქვს თავისი საზღვარი, რომლის იქით შრომის ნაყოფიერობა კი არ მატულობს, არამედ კლებულობს, ამიტომ მიწის ნაყოფიც ძვირდება, მეტად ფასობს, და თუ მცხოვრებთა გამრავლება მოითხოვს უფრო ინტენსივურ კულტურას, ამას თან მოსდევს მიწის ნაყოფის ფასის და მიწის შემოსავლის მომატება. ამგვარად რამდენად მრავლდება კაცობრიობა და იზრდება სიმდიდრე, იმდენად მატულობს მიწის რენტა. მიწა არ მოიმატებს, რაც არის, არის, ამიტომ მიწის პატრონსაც მეტი აქვს ძალა, თუ მეტია მცხოვრები; კაპიტალი კი იზრდება, მატულობს კაცობრიობის გამრავლებასთან ერთად.

მიწა არაა ადამიანის შექმნილი, ადამიანს არც შეუძლია მისი მოსპობა. ამიტომ მიწის პატრონობაც ადვილია. მემამულეს შეუძლია იჯარით გასცეს მიწა, თვითონ მოსვენებით იყოს და მიიღოს ქირა-შემოსავალი. სულ სხვა მდგომარეობაშია კაპიტალი, რომელიც შეიძლება გაფუჭდეს და კიდეც მოისპოს, ამიტომ თუ პატრონმა კარგად არ მოუარა კაპიტალს, ვერავითარს შემოსავალს ვერ მიიღებს.

სამრეწველო წარმოების ფორმა მჭიდროდ დაკავშირებულია საკუთრების ფორმასთან: თუ კაპიტალის მსხვილი საკუთრება არსებობს, მრეწველობაც მსხვილია და თუ კაპიტალი წვრილია, მრეწველობასაც წვრილი ხასიათი აქვს. სულ სხვაა მიწის საკუთრება: შეიძლება მსხვილი საკუთრება იყოს, მაგრამ მიწათმოქმედება კი იყოს წვრილი (მაგალ., როდესაც მამული იჯარით აქვთ აღებული წვრილ მეურნეებს). მიწათმოქმედების ფორმა არაა დამოკიდებული მიწის საკუთრების ფორმისაგან. ამის მიზეზით მიწის საკუთრების რეფორმა გაცილებით ადვილია, ვიდრე კაპიტალის საკუთრებისა. ამ მხრივ დიდი განსხვავებაა კაპიტალსა და მიწას შორის, თუმცა როგორც ერთის, ისე მეორის შემოსავალი დამყარებულია არა შრომაზე, არამედ ძალმომრეობაზე, და მიწის საკუთრების რეფორმა შეიძლება მოხდეს, მოისპოს მიწის კერძო საკუთრება, ვიდრე განხორციელდებოდეს სრული სოციალიზმი.

კ.

## რევოლიუცია რუსეთში

ისე დღე არ გავა, რომ გაზეთებმა რამე ახალი ამბავი არ მოგვიტანონ რევოლიუციონურ მოძრაობის შესახებ. თუ აქამდის ყველას ეგონა, რომ მშრომელი ხალხი, რომელიც უმთავრესად კისრულობს რუსეთის განთავისუფლებას, ვერას გახდება ჯარის წინააღმდეგაო, ეხლა ჯარმაც, როგორც გუშინ ვწერდით, ბევრგან შეიგნო, რომ ისიც იმავ მშრომელ ხალხის სისხლი და ხორცია. დღეს ვხედავთ სასურველ სურათს ამ ორ ძალის შეერთებისას. ჯარის-კაცი, ძალად მოწყვეტილი თავის კერას, თავის ნათესაობას, ძმას, დედას და მამას, ჯარის-კაცი, რომელიც თავის მშობელ კუთხეს თოფსა და სალდათურ სიმღერაზე სცვლიდა, ეს სალდათი დღეს დაუბრუნდა თავის კერას, იცნო თავისი სამშობლო, იცნო თავისი მახლობელი, რომელსაც აქამდის სხვის ჩაგონებით „შინაურ მტერს“ ეძახდა. ეს მოსალოდნელიც იყო, მეტადრე მას შემდეგ, რაც ჯარი გაჰგზავნეს პროვინციაში გლეხთა მოძრაობის ჩასაქრობად.

პირველი მაგალითი ამისა სარატოვის გუბერნიამ გვაჩვენა. 13 ნოემბერს იქ სალდათებს მოუხდენიათ კრება და გადაუწყვეტიათ, არ იომონ „შინაურ მტრის“ წინააღმდეგ, რადგან, იმათის აზრით, შინაური მტრები არიან მღვდლები, ვაჭრები, მემამულენი, ადმირალები და გენერლები, რომელნიც აღრჩობენ მშვიდობიან მცხოვრებთ, და არა მშრომელი ხალხი, რომელიც „იფიცება“ და „ბუნტობს“ ფარჩის ტანისამოსისა და შამპანიურის გულისათვის-კი არა, ერთ ლუკმა პურის საშოვნად. ამიტომ ისინი არ დაუწყებენ სროლას ისეთ მშიერტიტველ ხალხს, როგორიც თვით სალდათები არიან. ყველა ამის გამო სალდათები თხოულობენ დაითხოვონ თავ-თავიანთ სახლებში, გაგზავნონ მამებთან, დედებთან, ცოლებთან და შვილებთან, რომელნიც მეტის ტანჯვით და შიმშილით გამხმარან და გაყინულან. „თუ ამას არ შეგვისრულებენო,—უთქვამთ სალდათებს,—მაშინ ჩვენც გავიფიცებით, მაგრამ სხვებსავით კი არა, სხვანაირად, ჩვენებურადაო“. აფიცერს და პოლკოვნიკს ბევრი ტკბილი სიტყვა უთქვამთ, მაგრამ ვერაფერი გაუწყვიათ და იძულებულნი გამხდარან თავი დაენებებინათ აღელვებულ სალდათებისათვის.

ალაგ-ალაგ მთავრობა ახერხებს და აღელვებულ ჯარის-კაცებს იარაღს ართმევს, მაგრამ არც ეს და არც უღმერთო რეპრესსიული ზომები შველის საქმეს. კარგად ახსოვს ყველას, კრონშტადტის მატროსების აჯანყებას რა რეპრესსიული ზომები მოჰყვა. მერე უშველა რამე ამან საქმეს? არა და არა. მღელვარება უფრო და უფრო ვრცელდება, უფრო და უფრო ღრმად იკიდებს ფეხს და ფართოვდება. გუშინაც ვწერდით, რომ პეტერბურგის მატროსებსაც მოსდებია ცეცხლის ალი, რის გამო მთავრობას განუზრახავს მათი კრონშტადტში გადაყვანა. მატროსებს ამაზე განუცხადებიათ, კრონშტადტში არ წავალთ, სანამ იქ სამხედრო წესები არ მოისპობაო. ერთის სიტყვით, მთავრობა ჩაფანგშია გაბმული და საითაც უნდა გაიწიოს, რა საშუალებაც უნდა იხმაროს, უფრო და უფრო გაებმება ქსელში. ვეღარა შველიან ვერც [illegible] და ვერც სასტიკი ზომები.

ჯარი განაპირა ქვეყნებშიაც აჯანყდა. მაგალითად, ქ. ლომჟაში (პოლონეთი) აჯანყებულა მე-16 პოლკი, წარუდგენია მოთხოვნები და ყაზარმის და აფიცერთა სადგომების ფანჯრები ჩაულეწნია.

ეს კიდევ არაფერი. არეულობა რუსის ფლოტს უცხო სახელმწიფოების ნავთსადგურებშიაც მოსდებია, როგორც, მაგ. ტულონში. ვლადივოსტოკში ხომ გემებიც კი გადაუწვავთ და ცეცხლი თვით ვლადივოსტოკს და სამხედრო ფორტებს მოსდებია. რაკი მოძრაობამ რუსეთის საზღვრებს მიატანა, შეუძლებელია სახელმწიფონი მაყურებლად დანარჩენ და რუსეთის საქმეში არ ჩაერივნენ. ეხლავე სჩანს, რომ სახელმწიფოები ემზადებიან ამისთვის. ჯერ მიზეზად მხოლოდ თავის ქვეშევრდომების დაცვას იგონებენ და ჰგზავნიან განაპირა ნავთ-სადგურებში გემებს. შვეციას უკვე გამოუგზავნია სამხედრო გემები თავის ქვეშევრდომთა დასაცველად, შვეციისათვის მიუბაძავს ამერიკის შეერთებულ შტატებს, ამათ ამ ცოტა ხანში, ალბად, სხვებიც მიჰბაძავენ.

როგორც უკვე ვთქვით, თუმცა სახელმწიფოები მიზეზად ქვეშევრდომთა დაცვას იღებენ, მაგრამ ნამდვილად მათ უფრო თავიანთ ფინანსების ბედ-იღბალი აწუხებთ. სახელმწიფოს გაკოტრება ყოველთვის რევოლიუციის თანამგზავრია და ამას წინ მოუძღვის ხალხის პანიკა, ანუ შიში, რომ ხაზინასა და გამსესხებელ კასსებში შეტანილი ფული ან სარგებლიანი ქაღალდები არ დაიკარგოსო. აი ეს პანიკაა სწორედ, დავთრები რომ დაუბნია მთავრობას. თუმცა იგი სცდილობს, დაარწმუნოს ხალხი, რომ შიში ტყუილია, მაგრამ მთავრობას ისე დაეკარგა ნდობა, რომ ხალხი არაფერს დაუჯერებს. ამიტომ უცხოელების ბანკებიც აღარ იღებენ სარგებლიან ქაღალდებს. საფრანგეთის ბანკმა „ლიონის კრედიტმა“ არ დაიგირავა თურმე მომგებიანი ქაღალდები. სახელმწიფო ბანკებში აუარებელი ხალხია. ყველას ფული უკან მიაქვს, ამასთან ქაღალდის ფულს არა სჯერდება და ოქროს თხოულობს. ფულის გამოტანა უფრო აკოტრებს ისეც გაკოტრებულ ხაზინას და ამას ხელს უწყობს გლეხთა და მუშათა მოძრაობა.

ამ ბოლო დროს ეს მოძრაობა ისეთ ზომამდის მივიდა, რომ თუ მოკლე ხანში არა ეშველა რა, თუ მთავრობამ არ დააკმაყოფილა მშრომელი ხალხი, სხვა რომ არა ვთქვათ რა, მარტო ამით გამოწვეული გაკოტრება დიდ ზიანს მოუტანს რუსეთს და მეორე ხარისხოვან სახელმწიფოდ გახდის. მით უმეტეს, რომ ეხლა მშრომელი ხალხი შეგნებით იქცევა, სცდილობს მოძრაობა ისე წაიყვანოს, რომ საზოგადო ტალღას მხარი დაუჭიროს და სხვებთან ერთად გააძლიეროს რევოლიუცია. პეტერბურგის მუშათა დელეგატების კრებას თავმჯდომარის დაპატიმრების გამო (იხილე გუშინდელი ნომერი ჩვენის გაზეთისა) პირდაპირ დაუდვენია, უნდა განვაგრძოთ მზადება საყოველთაო აჯანყებისათვისაო.

მუშებთან ერთად ღელავს მთელი გლეხობა. ამას გარდა გამოჩენილა ახალი პუგაჩოვი, რომელიც გლეხებს წინამძღოლობას უწევს და რომელსაც, ალბად, აზრადა აქვს ჯარს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიოს. მოკლედ რომ ვთქვათ, რუსეთის რევოლიუცია იმ გზას დაადგა, რომ მას ვერავითარი ძალა ვერ ჩააქრობს და ვერც ნახევარი რეფორმები უშველის რასმე. მეტსაც ვიტყვით: მარტო დემოკრატიული რეფორმებით მშვიდობა არ ჩამოვარდება, საჭიროა სოციალური რეფორმაც...

## „დაშნაკცუტუნ“-ის პარტიის პასუხი

„ცნობის ფურცლის“ რედაქციამ ჩვენის პარტიის კომიტეტს მოსთხოვა მისცეს მას დაუყოვნებლივ გადაჭრილი პასუხი იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს უიარაღო თათართა მოკვლა ქალაქში, და ამასთანავე აცხადებს სურვილს, რომ დაუყოვნებლივ მოისპოს ასეთი მკვლელობა, მით უმეტეს, რომ ყველა ეს „დაშნაკც“. პარტიის სახელით ხდებაო.

ამასთან თვით რედაქცია ამბობს, რომ „დაშნაკც.“-ის პარტიამ ამ დღეებში გამოსცა პროკლამაციები, რომლებით აკრძალა ყოველი ასეთი მოქმედებაო. პარტიამ არ

# ფელეტონი

## პატარა ამბები

რას გვავალებენ დახოცილი გმირები?—თავისუფლება და მუშა ხალხის კეთილდღეობა—მსოფლიო რევოლუცია.

რევოლიუცია იზრდება! რევოლიუცია შეუჩერებელი სისწრაფით მიდის წინ!..

დაიხოცნენ გმირები, კიდევ დავკარგეთ ამხანაგები და წითლად შეიღება შავი ზღვა თავგანწირულ რევოლიუციონერთა სისხლით. ამხედრებულ მუშა ხალხს შეუერთდნენ მისი ძმები მატროსები და იარაღით შეებრძოლნენ თვითმპყრობელობას. გაიმართა საშინელი ომი, მთელი დღე იყო ბრძოლა. ორივე მხრით დაიხოცა ხუთი ათასი კაცი, დაიღუპა რამდენიმე სამხედრო გემი, სასიკვდილოდ დაჭრილ იქმნა აჯანყებულთა წინამძღოლი გმირი შმიდტი. გაიმარჯვა მთავრობის ჯარმა, რომელიც ასე სამარცხვინოდ დამარცხდა იაპონიის ჯარისაგან. მაგრამ გაიმარჯვა კი ნამდვილად?

სევასტოპოლის გემები გვერდში ამოუდგნენ მუშა ხალხს და აჯანყდნენ, რომ დაემსხვრიათ მონობის ბორკილები, რომ განხორციელებულიყო ქაღალდზე გამოცხადებული თავისუფლება, რომ უზრუნველ ყოფილიყო ადამიანის და მოქალაქის უფლება; მოითხოვეს, რომ დაუყოვნებლივ მოეწვიათ დამფუძნებელი კრება, არჩეული საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და დაფარულის კენჭის ყრით, მოითხოვეს როგორც თავისთვის, ისე მთელი ხალხისთვის ადამიანური ცხოვრება. აჯანყებულებმა იცოდნენ, რასაც თხოულობდნენ, იცოდნენ, ვის წინააღმდეგ მიდიოდნენ, თვალ წინ ეყვათ 9 იანვარს დახოცილ მუშათა გვამები, ხედავდნენ, რომ მათზე მეტი იყო მტერი, მაგრამ აღმართეს წითელი დროშა, მებრძოლ მუშათა დროშა და გმირულად დაიძახეს: ან სიკვდილი, ან ხალხის გამარჯვებაო!

ველურმა ძალამ დასძლია ისინი, მაგრამ გამარჯვებული დარჩა ის საქმე, რომლის განსახორციელებლად იარაღი აიღეს ხელში. სევასტაპოლის ბრძოლამ კიდევ უფრო დააშორა მთავრობა ხალხს, კიდევ უფრო მიუახლოვა ხალხი თავის მიზანს—თვითპყრობელობის განადგურებას და შრომის გაბატონებას. მუშა ხალხმა დაჰკარგა ძვირფასი შვილები, მაგრამ წინ გადადგა ფეხი, მოიპოვა ახალი ძალა, დააუძლურა მტერი, დაუკარგა მას ნდობა ყოველის მხრით, შეარყია მთავრობის უკანასკნელი ბურჯი—ჯარი.

კიდევ ასეთი ერთი-ორი „გამარჯვება“ და აღარ იქნება მთავრობა. ხალხი არ დაივიწყებს სევასტოპოლის მსხვერპლებს, როგორც არ დაივიწყებს სხვებსაც. შურის ძიებით აღივსება მისი გული, გაიორკეცებს ძალღონეს და უფრო მხნედ შეებრძოლება თვითმპყრობელობის უკანასკნელ დარაჯებს. და ვაი იმათ, რომელნიც დღეს იცინიან სევასტოპოლის გამარჯვების გამო: ძვირად დაუჯდებათ ეს სიცილი! ერთი ათად იქნება ანაზღაურებული ყოველი მსხვერპლი, და ნუ იცინიან ტრეპოვი, დურნოვო და ჩუხნინი, ადრეა სიცილი. ის უფრო მადიანად იცინის, ვინც ყველაზე უფრო გვიან გაიცინებს. დაგვიანებული სიცილი იქნება ხალხის, მაგრამ იქნება მადიანი, თავისუფალი და ძლიერიც.

დაიხოცნენ გმირები, დავკარგეთ ამხანაგები... ტირილი არ გვშართებს ახლა: ტირილი და გლოვა მერე! მერე დავღვაროთ ცრემლები ამხანაგების მოსაგონებლად. ახლა კი ბრძოლაა საჭირო, ბრძოლა იმ დიდებულ საქმისათვის, რომელსაც თავი შესწირეს გმირებმა. თუ ისედაც გვიყვარდა საქმე, ახლა კიდევ მეტად უნდა შეგვიყვარდეს სევასტოპოლის ბრძოლის შემდეგ, თუ გვინდოდა ბრძოლა და შეიარაღება, ახლა კიდევ უფრო უნდა გვინდოდეს, რომ მალე გავიმარჯვოთ, რომ მალე გავაგონოთ დახოცილ ამხანაგებს, თუ რა ნაყოფი მოიტანა მათმა თავგანწირულობამ. არაფერს არ შეუშინდნენ ისინი, არ უნდა შევუშინდეთ ჩვენ, მით უმეტეს, რომ ჩვენ წინაშე უფრო უძლურია მტერი. თუ საქმე მოითხოვს, დავიხოცნეთ ჩვენც, როგორც დაიხოცნენ ჩვენი ამხანაგები: ამას გვავალებენ დახოცილი ამხანაგები!

მაშ ბრძოლა მედგარი, შეიარაღება სრული! გაუმარჯოს [რევოლუციას, რომელიც ასე გაძლიერდა სევასტოპოლის შემდეგ!

* *

რევოლიუცია უფრო და უფრო ფართოვდება, უფრო ღრმად იკიდებს ფეხს. არ რჩება არც ერთი კუთხე რევოლიუციის გარეშე, თვითმპყრობელობას აღარაფერი დარჩა შეურყეველი; პოლიციელებსაც-კი შეეპარათ ეჭვი მისი ძლევა მოსილობის შესახებ.

ახალი წესწყობილება ძველს ებრძვის. თვითმპყრობელობა უძლურია, მაგრამ ჯერ მთლად არ არის განადგურებული. იგი ვეღარ მეფობს, მაგრამ არ არის გამეფებული ახალი, ხალხური მთავრობა. გარდამავალი ხანაა; არც ახალია, არც ძველი; ყველგან ანარხიაა, რომელიც თან და თან იზრდება.

ამ გვარი მდგომარეობა არ გათავდება მალე და არც არის სასურველი, რომ გათავდეს რაც უფრო ხანგრძლივი იქნება რევოლიუცია, მით უფრო სასარგებლოდ გათავდება ხალხისათვის. რაც უფრო გაჭიანურდება თვითმპყრობელობის უძლურება, მით უფრო ფხიზლად შეხედავს მას ხალხი, მით უფრო ძლიერ აუჯანყდება ხალხი. თვითონ რევოლიუცია გამოამჟღავნებს დღევანდელ მთავრობის უვარგისობას. რევოლიუციამდე წესიერება არსებობდა და თვითმპყრობელობა არხეინად იჯდა პაპისეულ ტახტზე, რომელსაც ძლიერ ცოტა მტერი ყავდა. მაგრამ როგორც-კი ცოტათი შეარყია რევოლიუციამ ტახტი, თვითმპყრობელობას მრავალი მომხრე დაეკარგა. წინად თუ თითქმის ყველას სწამდა ტახტის ძალა, რევოლიუციამ მოჰკლა ეს რწმენა და გამოააშკარავა, რომ თვითმპყრობელობა მეტის-მეტად უძლური და უვარგისი რამ ყოფილა. გაჰქრა შიში თვითმპყრობელის წინაშე და კიდევ უფრო გაჰქრება, რამდენად უფრო გაგრძელდება რევოლიუცია.

რევოლიუცია ზრდის რევოლიუციონერებს, რევოლიუცია მეტად ათვითცნობიერებს ხალხს. რევოლიუცია თვითონ არკვევს მიზანს. რევოლიუცია იზრდება რევოლიუციის შემწეობით. სარევოლიუციო ჯარი მატულობს, ბრძოლის იარაღი უკეთესდება, რაც დრო გადის. დღეს რომ რევოლიუცია შესწყდეს, ხალხი დაჰკარგავს სრულიად იმასაც, რაც მოიპოვა. ამიტომ არამცთუ იმის დასამკვიდრებლად, რაც შეძენილია, არამედ ახალის უფლების დასაპყრობად საჭიროა რევოლიუციის გაფართოვება, საჭიროა რევოლიუციის მეტი და მეტი გაგრძელება.

ამიტომ ყოველი რევოლიუციონერის მოვალეობაა ხელი შეუწყოს რევოლიუციის გამწვავებას და გაფართოვებას, უნდა ვეცადოთ, კი არ ჩავაქროთ რევოლიუცია, არამედ კიდევ მეტი ცეცხლი მივუმატოთ მას. მაგრამ რას ნიშნავს რევოლიუციის გაფართოვება? თუ გარეგნობით ეს იქნება მეტი ბრძოლა, მეტი სისხლის ღვრა და მეტი მსხვერპლი, თავის შინაარსით ეს იქნება მოთხოვნილებათა გაფართოვება ხალხის მიერ. დღევანდელი რევოლიუციის მიზანია პოლიტიკურ თავისუფლების მოპოვება, მოსპობა თვითმპყრობელობისა და დამყარება ხალხურ ფედერატიულ რესპუბლიკისა. მაგრამ ეს დააკმაყოფილებს მუშა ხალხს? რაც უნდა დემოკრატიული რესპუბლიკა დაარსდეს რუსეთში, რაც უნდა დემოკრატიული ავტონომია მოვიპოვოთ ჩვენ, განა ან ერთი ან მეორე არსებითად წინ წასწევს მუშა ხალხის მდგომარეობას? რასაკვირველია, თავისუფლება ძვირფასი რამაა, ხალხისათვის ძალიან კარგია, რომ არსებობს თავისუ-

მარტო პროკლამაციები გამოსცა, საქმითაც ასრულებდა მას, რასაც სწერდა. ამ საშინელ დღეებში ჩვენის პარტიის რაზმელებმა გადაარჩინეს და სპარსეთის საკონსულოში გადაიყვანეს 150-ზედ მეტი თათარი; დღე და ღამ ვიცავდით თათართა მრავალ ოჯახს, რომელნიც ქალაქში ცხოვრობდნენ; თათრის მრავალს დუქანს ვიცავდით გაცარცვისაგან; ბევრს ხულიგანს სხვა და სხვა ერებისას—როგორც სომხების, ისე რუსების და ქართველებისას—წავართვით ნაცარცვი საქონელი თათრებისა და გადავეცით ტფ. ქალაქის გამგეობას პატრონთათვის დასაბრუნებლად. უნდა აღვნიშნოთ, რომ პარტიას ამ საქმისთვის უნდა ცოტა ძალა გამოეყო, რადგან მთავარი და პასუხსაგებელი საგანი პარტიისა იყო ქალაქის დაცვა, რათა არ შემოსულიყო ბორჩალოს ველურ თათართა ბრბოები, რომელნიც ანადგურებდნენ გზაზედ ბევრ სომხების და ქართველების სოფლებსა და მამულებს. არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა მოუვიდოდათ ტფილისის მცხოვრებთ, სომხებს, ქართველებსაც და რუსებსაც, ეს ათას სამასი შეიარაღებული თათარი რომ შემოსულიყო ქალაქში. აი, ამაზედ იყო მიმართულ პარტიის მთელი ძალა და, საბედნიეროდ, სხვა პარტიათა ორგანიზაციების დახმარებით, ეს საგანი სასურველად დამთავრდა. ასეთი მძიმე საქმე დაატყდა უმთავრესად ჩვენს პარტიას და საკვირველია, რომ კიდევ სხვა საქმეებს აკისრებენ ჩვენს პარტიას და უსაყვედურებენ, რატომ მთელი საქმე ვერ შეასრულაო. „დაშნაკცუტ.“ პარტიის სახელით საზიზღრობა ხდება, ასეთივე საზიზღრობა ხდებოდა და ხდება „წითელის რაზმის“ სახელით ქართველთა პროვინციებში, ასეთივე საზიზღრობა ხდება სოც.-დემოკრატების, სოც.-ფედერალისტ. სახელითაც აქ, ტფილისში. ჩვენი პარტია ყოველთვის და ყოველგან მხნედ ეწინააღმდეგებოდა საზიზღრობის ჩამდენთ და, თუ ყველგან ვერ ვასწრებდით ამ დიდ ქალაქში, გასაკვირველი არ არის; გასაკვირველი ის არის, რომ არის ისეთი ნაწილი მცხოვრებთა, რომელიც კადრულობს, ბრალი დასდოს სარევოლიუციო პარტიას, რომელსაც გარემოება აიძულებს თავის პირდაპირ მოვალეობის მაგივრად კონტრ-რევოლიუციას ებრძოლოს და დაიცვას მცხოვრებთა ელემენტარული უფლებები. გვიკვირს აგრეთვე ის ცალმხრივობა, რომელსაც იჩენს მცხოვრებთა ერთი ნაწილი: ის ხედავს, აღნიშნავს და ხმა მაღლა პროტესტს აცხადებს იმ მხეცობის წინააღმდეგ, რომელიც ქალაქის ჩვენს ნაწილში ხდება, რომელიც ჩვენც გვიმღვრევს სულსა და გულს, ხოლო იმავე დროს არ ხედავს და გული არ ემღვრევა იმ მხეცობით, რომელიც თათრის ნაწილში ხდება სომხების წინააღმდეგ. ეს ცალმხრივობა იქამდის მიდის, რომ თითქმის აღუნიშნველი დარჩა თათრების ვერაგული თავდასხმა სოციალდემოკრატიის რაზმზე, რომელიც მშვიდობიანობის დასამყარებლად იყო მოსული. მიუხედავად ყველა ამისა „დაშნაკცუტუნის“ პარტიის კომიტეტი გამოძიებას ახდენს ყველა იმ მხეცურ მოქმედების გამო, რომელიც მან შეიტყო და რომელიც სომხებს ჩაუდენიათ და მზად არის დასაჯოს დამნაშავენი; გამოძიება სწარმოებს აგრეთვე იმ მკვლელობის გამო, რომელიც თქვენ გაზეთში იყო აწერილი.

**სომხეთა სარევოლიუციო ფედერაციის „დაშნაკცუტუნის“ ტფილისის კომიტეტი.**

## ჟლეტა-ხოცვა ბათუმში

საშინელს დღეში ჩავარდა ბათუმი. ეს ოთხი დღეა მცხოვრებნი ყაზახებისა და ჯარების ხელში არიან და ვინ ჩამოსთვლის, რამდენ უბედურებას ითმენენ. ჯერ-ჯერობით მოკლედ გატყობინებთ.

28 ნოემბერს ვიღაცეები თავს დაეცნენ ერთ ყაზახს და თოფი წაართვეს. ამით დაიწყო „საქმე“. მაშინვე გამოვარდნილან ყაზახები, დარევიან ხალხს და 15-მდე მოუკლავთ და დაუჭრიათ. საღამოს აღელვებული ხალხი შეგროვდა მიტინგზე და დაადგინა, მოითხოვოს დაუყოვნებლივ ყაზახების გაყვანა ბათუმიდან.

29 ნოემბერს ისევ მოხდა ხალხის კრება, რომელმაც გადასწყვიტა გამოეცხადოს ყაზახთ სრული ბოიკოტი: არ მიჰყიდონ არაფერი, არც საჭმელი, არც სანოვაგე რამ და მოითხოვონ ყაზახების გაყვანა.

30 ნოემბერს ქალაქში სოფლებიდან მოვიდა ბევრი შეიარაღებული ხალხი და ადგილობრივმა სარევოლიუციო ორგანიზაციებმაც გამოიყვანეს თავიანთი რაზმები. ხალხმა მოინდომა 28 ნოემბერს დახოცილთა დასაფლავება, მაგრამ ამ დროს ქუჩებში თოფის სროლა ასტყდა. ხალხმა ბარიკადები გამართა, მას ზოგიერთი ჯარის-კაცებიც მიემხრნენ და დაიწყო ბრძოლა. ხალხის წინააღმდეგ მოქმედებდნენ ყაზახები და ხერსონის ქვეითა პოლკი. ამ დღეს მცხოვრებთა მხრით 25 კაცია მოკლული და დაჭრილი. იმავ დღეს ბათუმის ციხის კომენდანტმა, ციხეთა დაცვის წესდების მე-53 მუხლის თანახმად, ალყის წესები შემოიღო. მცხოვრებთ აეკრძალათ იარაღის ტარება და საღამოს 6 საათიდან სახლებიდან გამოსვლა.

1 დეკემბერს ჯარებმა და ყაზახებმა დაიწყეს სახლების ჩხრეკა და იარაღის ძებნა. ბევრი სახლი, მათ შორის „ჩერნომ. ვესტნ.“ რედაქცია და ქალაქის გამგეობა, ააწიოკეს; ბევრგან ძარცვა-გლეჯაც მოხდა. დაზარალდა ოსმალეთის ზოგი ქვეშევრდომიც, რის გამო ოსმალეთის კონსულმა კომენდანტს პოეიდაევს ენერგიული პროტესტი გამოუცხადა. ამ დღეს ადგილობრივ ადმინისტრაციას ნამესტნიკის დეპეშა მოუვიდა ტფილისიდან: ქალაქის თხოვნა ყაზახების გაყვანის შესახებ შეწყნარებულიაო; მაგრამ კომენდანტმა უპასუხა: ბათუმში აჯანყებაა და საალყო წესები შემოვიღეო, ამიტომ ყაზახებს არა თუ არ გავიყვან, პირიქით, მახლობელ ადგილებიდან დავიბარეო. მართლაც, ბათუმისკენ მოდიან პლასტუნები გურიიდან, ართვინიდან და სხვა ადგილებიდან.

ასეთი ამბებია ბათუმში 27 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე. შიშში ვართ და არ ვიცით, ხვალინდელი დღე უარესს ხომ არ გვიმზადებს.

## დაზარალებულთა სასარგებლოდ

დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ ვიქტორ ავალიანისა და ესტატე ჩხარტიშვილის მიერ შეკრებილი 344 მანეთი. სია შემომწირველთა:

პრაპორშჩიკი ვლადიმერ ყაფლანის ძე ხუნდაძე 30 მან., ვიქტორ ავალიანი, ესტატე ჩხარტიშვილი, იოსებ ნიჟარაძე, გიორგი ალექსანდრეს ძე მგალობლიშვილი, კოტე ვასილის ძე ქელბაქიანი, მელქო გორგიჯანოვი, კარაპეტ პეტრეს ძე ოჰანეზოვი,—თვითეულმა ოცდა ხუთი მანეთი, სულ 175 მ., სარქის ამირბეგოვი 20 მ., გიგო საფაროვი და ისიდორე სილაგაძე თვითომ თხუთმეტი მან., სულ 30 მან., სოფრომ ნიკ. სხირტლაძე, ემილ რიხტერი და ალექსი კოკაია თვითომ თუმანი, სულ 30 მ., ვანო მიხეილის ძე ძეგველოვი, ამხ. ომიაძე, თოიძე, ძმ. თომა და ვასო გოგინოვები, ალექსი ბოცვაძე, მიხეილ ქავთარაძე, პავლე ბაქრაძე, ვ. მ. პულსი, გ. ფრანსიურო, იოსებ მაჰავარიანი, კოსტანტინე ჯანგველაძე და ომერ ცეტერი ხუთ-ხუთი მანეთი, სულ 55 მან., ვანო ყიფიანი 3 მ. და მარკოზ კირტაძე 1 მ.

—

დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ ერთის სიით შეკრებილი—82 მ. 55 კ. შემომწირველთა სია:

ალექსანდრე ჩარკვიანი 5 მ., ალექსანდრე ლეჟავა 5 მ., უცნობი 1 მ., სანდრო გელაშვილი 5 მ., ვიქტორ ანჯაფარიძე 5 მ., ქსენია ანჯაფარიძისა 3 მ., **Александръ Александровичъ** 10 კ., კაგნიანცი 50 კ., **Джанполадзе** 1 მ., ივანე თოდუა 2 მ., არშაკ აზიზოვი 1 მ., ილიკო გუგუნავა 1 მ. ლადო ლობჟანიძე 1 მ. მაროფი 1 მ. **Терваковъ** 2 მ., დავით მურავიოვი 1 მ., **Александръ Чернявскій** მე-154 პოლკის კაპიტანი 1 მ., ისაკ გაბრიელოვი 1 მ., **Мустара ажи баираоглы** 3 მ., მამედ შახნაზაროვი 3 მ., მელიტონ წილოსანი 1 მ., **филистакы** 1 მ., მინას ყარამანოვი 1 მ., **Машади гусеинъ казимъ-огли** 1 მ., **М. Журинъ** 50 კ., ვანო ზოდელავა 3 მ., **Николаи Степановъ** 1 მ., **Гукасовъ** 1 მ., მოსე კვინიკაძე 1 მ., **Владимиръ Беритовъ** 50 კ., **Габузовъ** 1 მ. 50 კ., ნიკ. ანთაძე 1 მ., **Сергѣи Яхшибеговъ** 1 მ., **Измаилъ Наджаоглы** 40 კ., **Сименовъ Абрамовичъ** 35 კ., **Масксимъ Рафаеловъ** 50 კ., **Кола Билановъ** 1 მ., **Гиго Теръ-Хачатуровъ** 1 მ., კირილე ანჯაფარიძე 1 მან., **Алексеи Навасадовъ** 1 მან., ნიკო საბაშვილი 50 კაპ., **Карапетъ Григорянцъ** 50 კაპ., ა. ბაბახანიანცი 1 მან., კირილე ნიკოლაიშვილი 50 კ., ვ. დივანია 1 მ., **Г. Гедокини** 2 მ., **Гоняколовъ** 1 მ., **Амирула наиловъ** 2 მ., კოლია ლომიძე 1 მან., ბაგატოვი 1 მ., მელიტონ ჩაგანოვი 3 მ., უცნობი 3 მ., ვასილ გივიშვილი 50 კ., **Мамадевъ** 1 მ., სიმონ თოფურია 3. მ.

—

თალხან ლევანის ძის გომართლის მიერ შეკრებილი—დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ 7 მან., დაზარალებულ ქართლელთა სასარგებლოდ 7 მან. და 22 ოქტომბერს მოკლულ ილიკო კერვალიშვილის ქვრივის სასარგებლოდ—7 მან. სულ 21 მან. შემომწირველთა სია:

თალხან ლევანის ძე გომართელი 2 მ. 25 კ., მარია მატინოვი 1 მ., არტემ სუნდუკოვი 1 მ., გაბო ხუციშვილი 50 კ., ყაფლან ბაქრაძე 20 კ., გიორგი დულარიძე 20 კ., მალხაზ გოქაძე 10 კ., თითო აბაზი: ოქრო აგლაძე, მინა აბდუშელიშვილი, ზალიკო სირტყლაძე, სვიმონ გურგენიძე 30 კ., თითო აბაზი: ერასტი დვალი, მიქელ დვალი, ბესარიონ დვალი, სილიონ ხვედელიძე 10 კ., თითო აბაზი ოქრო ჯოხაძე, ივანე ადამია, სანდრო თოდაძე, ათიმოზ გიორგობიანი 25 კ., დათიკო კობერიძე, 15 კ., მათე დემეტრეშვილი, 10 კ., იორდანე გოგოლიძე, 1 მ., სოლომან კობახიძე 15 კ., სანდრო ჯოხაძე 20 კ., მიხეილ ტერმელაშვილი 20 კ., ათ-ათი შაური: დათიკო იმანიძე, გიორგი სირტყლაძე, თედო კერესელიძე, ვანო დოკვაძე, ტატო მელაძე, 20 კ., ტელა მარღიშვილი, 10 კ., ათ-ათი შაური: მეთოდე კერვალიძე, ფილიპე კერვალიძე, სერგეი გოცირიძე, 20 კ., გიგო კილვარიძე, 50 კ., დათიკო ნონიკაშვილი, 20 კ., გიორგი წერეთელი 50 კ., ნიკოლაი ზანტიევი 40 კ., დიმიტრი ხოსროშვილი 40 კ., კარაპეტ ვართანოვი 20 კ., ანტონ გორდეზიანი. 1 მ., 50 კ., ნიკოლაი მეტრეველი 50 კ., ილიკო ზადუნშვილი 1 მ., პავლე კურცხალია 50 კ., როსტომ ტომარაძე 20 კ., პოღოს ბაზიკიან 40 კ., ნიკოლაი ალექსანდროვ 20 კ., ინიკტიორ აბაშიძე 1 მ., სვიმონ ქევანაშვილი 50 კ.

—

დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ შეგროვილი ანასტასია გედევანიშვილის მიერ 12 მან. სია შემომწირველთა:

ნიკო ვაჟიკაშვილი, ელენე აბზიანიძე, თითო მანეთი., დავით სიმონაშვილი 2 მ., თომა სულაძე 1 მ. 50 კ., სოფიო ზილბერგ 50 კ., ტატო თედიაშვილი 1 მ., სოსო ჯავახიშვილი 60 კ., ანასტასია გედევანიშვილისა 1 მ., ლიუბა კლიმიაშვილისა 50 კ., ელენე გულისაშვილისა 1 მ., გაიანე ბურდიაშვილისა 50 კ.. დარიკო ჩარკვიანი 1 მ., მაგდუშა კლიმიაშვილისა 20 კ.

—

ამათ გარდა დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ შემოსწირეს პავლე იოსების ძე კურცხალიამ 25 მანეთი, ექიმმა ვირსალაძემ 40 მანეთი, ს. გ. ტარუაშვილმა 2 მ. პეტრე ბარ. ნაცვლიშვილმა 2 მ. 50 კ., გრენადერთა მე-15 პოლკის პრაპორშჩიკმა ზაქარია აბრამოვმა 3 მ. ჩვენს რედაქციაში ამ ჟამად არის შემდეგი სიები შემომწირველთა: ტფილისის სადგურის კონდუქტორებისა, სად. ალექსანდრეპოლის კონდუქტორებისა, ბესტუჟევის მიერ შეგროვილი. ყარაიაზის ქართველთა, ალექსანდრე ამირაღოვის მიერ დუშეთის წვრილ ვაჭრებს შორის შეკრებილი, ამ სიებს შემდეგ ნომრებში დავბეჭდავთ.

# ახალი ამბავი

✦ **თათრის მოკვლა.** გუშინ, 3 დეკემბერს, ასე 12 საათზე პოლიციის მე-5 ნაწილში, სიონის ქუჩაზედ, იმ სახლის მახლობლად, სადაც წითელი-ჯვრის სადგომია მოთავსებული, ვიღაცამ სამჯერ დასცალა რევოლვერი. ამან მე-5 და მე-6 ნაწილებში ერთი ალიაქოთი ასტეხა. მაღაზიები და სახელოსნოები მსწრაფლ დაიკეტა, ხალხი გაიქცა და მალე ქუჩა მიწყნარდა. იმ ადგილზედ, სადაც რევოლვერები გავარდა, ერთი მოკლული თათარი იყო, მაგრამ ჯერ გამოურკვეველია, ვინ გაისროლა რევოლვერი და ვინ მოჰკლა ეს კაცი. „დროშაკისტების“ ორგანიზაციის ორმა მილიციონერმა სიონის ტაძრის ქვემოდ დააპატიმრა ერთი თათარი, რომელიც მოედნისაკენ გარბოდა. ეს თათარი მილიციონერებმა ქალაქის გამგეობაში მიიყვანეს. მალე მოურავის მოადგილე თავ. ჩერქეზიშვილი, გამგეობის წევრნი კოკჩაევი და თავ. არგუთინსკი გაემგზავრნენ ადგილობრივ ხალხის დასამშვიდებლად. გამგეობაში მიყვანილმა თათარმა მაშადი-ტაგი-ოღლიმ განაცხადა, რომ მე სიონის ქუჩით მივდიოდი. ქუჩაში ოთხი მაჰმადიანი იდგა. ვერ გავიგე, რა მოხდა, მხოლოდ შევნიშნე, რომ ორჯელ მაჰმადიანებმა გაისროლეს რევოლვერი, ხოლო ერთხელ იქვე მდგომ სომხებმა. არ ვიცი, ვისი ტყვია მოჰხვდა თათარსაო. ამ ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ მაჰმადიანი გაუშვეს.

✦ **მაჰმადიანების თარეში.** როგორც ტფ. მაზრის სოფელ გომარეთიდან ჩამოსულმა გლეხებმა გვიამბეს, ბორჩალოს მაზრაში შემდგარა რაზმები მაჰმადიანებისა. ეს რაზმები იკლებენ და ანადგურებენ სომხების ქარხნებსა და ქონებას. გაუძარცვავთ მელიქ-ბახტამიანის ყველის ქარხანა. მოუკლავთ ამ ქარხნის გამგის ცოლი. გაუძარცვავთ სხვა ქარხნებიც. რაზმებს მეთაურობენ ბეით-აღა მურსაყულოვი და არადონყული-ოღლი. აუკლიათ სოფელ დაშიბაში. ქართველთა სოფლებს ხელს არ ახლებენ თურმე.

✦ **დეპეშა ბაქოდან.** ადგილობრივ მთავრობას შემდეგი დეპეშა მოუვიდა გუშინ ბაქოდან მუშათა დეპუტატების საბჭოსაგან: „მუშათა დეპუტატების საბჭომ დაადგინა, მოითხოვოს დაუყოვნებლივ სამხედრო სასამართლოდან და პატიმროებიდან გაანთავისუფლონ უდანაშაულოდ შეპყრობილი 11 მატროსი კასპიის ფლოტისა. მუშათა დეპუტატების საბჭომ აუწყა ეს გენერალ-გუბერნატორს და ნამესტნიკს და კვლავ დაადასტურა თავისი დადგენილება. საბჭომ გადასწყვიტა, თუ მატროსების განთავისუფლებაზედ უარს მიიღებს, მიმართოს უკიდურეს ზომებს და შედეგისთვის პასუხის გებას თავიდან იცილებს. პასუხი უეჭველად უნდა 4 დეკემბერს მოვიდეს“.

✦ **ქართველ-მაჰმადიანთა მიტინგი.** 27 ნოემბერს ჩაქვაში მოხდა ქართველ მაჰმადიანთა მიტინგი. დაესწრო 1500 კაცამდე. იყვნენ აჭარის და ბათუმის ოლქის თითქმის ყველა სოფლის წარმომადგენელნი კრების აზრი იყო, გაეცნოთ აწ არსებულ პარტიების პროგრამები. ილაპარაკეს ს.-დემოკრატების და ს.-ფედერალისტების ორატორებმა. დამსწრეთ განსაკუთრებით მოიწონეს ს.-ფედერალისტთა პროგრამის ის ნაწილი, რომელიც ეხება მიწის სოციალიზაციას და საქართველოს ავტონომიას. მიტინგმა დაადგინა: 1. აარჩიოს ყველა სოფელში წარმომადგენელნი და 2. იმოქმედოს ს.-ფედერალისტთა ხელმძღვანელობით.

✦ **კომიტეტების დეპეშა.** 1 დეკემბერს ს.-დემოკრატიულ პარტიის ბათუმის, ყვირილის, გურიის და ქუთაისის კომიტეტებისაგან შემდეგი დეპეშა მოუვიდა ნამესტნიკს, სულთან-კრიმ გირეის და ქუთ. გუბერნატორს სტაროსელსკის (ამ დღეს სტაროსელსკი ტფილისში იყო): „28 და 30 ნოემბერს ბათუმში ყაზახებმა მხეცურად დახოცეს უდანაშაულო და მშვიდი მცხოვრებნი, რამაც გამოიწვია მთელ ქალაქში ბარიკადების აშენება. მცხოვრებნი აღშფოთებულნი არიან და ყოველ წუთს მოელიან ახალ შეტაკებას. როგორც გავიგეთ, ოზურგეთიდან ბათუმში გაიწვიეს პლასტუნები. ამ ამბავმა უფრო გაამწვავა საქმე. ჩვენ ვითხოვთ, შეჩერდეს პლასტუნების ბათუმში გაგზავნა იმ დრომდე, ვიდრე მცხოვრებნი დამშვიდდებიან. წინააღმდეგ შემთხვევაში იმათ შესაჩერებლად ზომება იქნება მიღებული“.

✦ **რკინის გზის მოსამსახურეთა დადგენილება.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას შემდეგი დეპეშა მოსვლია ფოთიდან: „1 დეკემბერს საზოგადო კრებაზე რკინის გზის მოსამსახურეებმა დაადგინეს, რადგან ამ ბოლო დროს ყაზახები ძალიან თავხედად იქცევიან, ხალხი აღშფოთებულია მეტადრე იმ დარბევის და დაწიოკების შემდეგ, რომელიც ამ ცოტა ხანში მოხდა. შეიძლება ამას სამწუხარო შედეგი მოჰყვეს, ამიტომ მოსამსახურენი თავისა და ოჯახების დასაცველად აარსებენ მილიციას და თხოულობენ 50 ბერდანკას და პატრონებს.“ როგორც ფოთიდანვე გვატყობინებენ, 1 დეკემბერს მოსამსახურეებმა და მუშებმა მხოლოდ შუადღემდე იმუშავეს, რადგან ხმა გავრცელდა, რომ მუშებს უნდა დაეცნენო.

✦ **„დაშნაკცუტუნის“ განცხადება.** 2 დეკემბერს „დაშნაკცუტუნის“ ორმა რწმუნებულმა გამოუცხადა ქალაქის მოურავს, რომ თათრების ის ქონება, რომელიც მე-6 საპოლიციო ნაწილის გარეშე ხულიგანებმა დაიტაცეს და რომელიც „დაშნაკცუტუნის“ დრუჟინებმა წაართვეს ამ ხულიგანებს, დაწვრილებით სიის შედგენის შემდეგ, გადაეცემა ქალაქის გამგეობას პატრონებისათვის დასაბრუნებლადო.

✦ **მიტინგი.** დღეს, 4 დეკემბერს, დილის 11 საათზე, ნაძალადევში შესდგება სახალხო მიტინგი ტფ. სოც.-დემოკრატ. მუშათა ორგანიზაციისა. განსახილველი საგნები: ჩვენი როლი სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტაში და 2. რევოლიუციონური სამოქალაქო თვითმმართველობა (კომმუნა) და ჩვენი დამოკიდებულება მასთან.

✦ **სომეხთა დეპუტაცია.** გუშინ შუშიდან ჩამოვიდნენ იქაურ სომეხთა წარმომადგენელნი, 22 კაცი, წარუდგნენ გენერალ მალამას და აცნობეს, რა მდგომარეობაშია შუშისა, ჯებრაილისა, ჯევანშირისა და ზანგეზურის მაზრები. დეპუტაციამ განაცხადა, რომ ბევრ ადგილას თათრები თარეშობენ, სძარცვავენ და იკლებენ მგზავრებსო. დეპუტატებმა სთხოვეს მალამას, დაინიშნოს განსაკუთრებული კაცი და გაგზავნოს ჯარი, რომ მიმოსვლა უზრუნველ ჰყონ. დეპუტატებმა ითხოვეს აგრეთვე გენერალ-გუბერნატორის თაყაიშვილისა და ადმინისტრაციის სხვა მოხელეთა გადაყენება, ისე, რომ აღნიშნულ კუთხეში ადმინისტრატორად დაინიშნოს არც სომეხი და არც თათარი. ბ. მალამამ დეპუტატებს დახმარება აღუთქვა.

✦ **მატარებლების მიმოსვლის განახლება.** რკინის გზის მიმოსვლა ყვირილასა და ბათუმს შუა ორი დღე შეჩერებული იყო. 2 დეკემბერს ისევ დაიწყო სახალხო მატარებლების მიმოსვლა. ტელეგრაფიც მოაწესრიგეს.

✦ **მაჰმადიანთა თხოვნა.** 3 დეკემბერს ტფილისში მცხოვრებ მაჰმადიანთა დეპუტაციამ სთხოვა მოურავის მოადგილეს თავ. ჩერქეზიშვილს, ნება მიეცეთ მაჰმადიანებს პროცესიით გამოვიდნენ ქუჩებში, მცხოვრებთ მოელაპარაკნენ და დაუმტკიცონ, რომ ხოცვა-ჟლეტაში მათ ბრალი არ მიუძღვით.

✦ **თათბირი თავის დაცვის შესახებ.** დღეს, 11 საათზე, საბჭოს დარბაზში მოხდება ტფილისის ყველა უბნის წარმომადგენელთა თათბირი თავის დაცვის შესახებ მოსალაპარაკებლად.

✦ **მაჰმადიანთა წასვლა.** ტფილისში მცხოვრები ის მაჰმადიანები, რომელთაც შეტაკების დროს საცხოვრებელი დაჰკარგეს, ქალაქიდან დაიძრნენ და მიდიან თავიანთ სამშობლოში.

✦ **მოხელის მოკვლა.** ახალ-სენაკიდან გვატყობინებენ: 30 ნოემბერს, დილის 10 საათზე, ლიანდაგზე თოფით მოჰკლეს საპოლიციო განყოფილების მდივანი კარიცკი.

✦ **დუშეთი.** 25 ნოემბრისათვის აქ დანიშნული იყო საგანგებო კრება მაზრის თავად-აზნაურობისა ერობის შემოღების შესახებ მოსალაპარაკებლად. კრებაზე, მარშლის ნ. გ. ყაზბეგის მეტი, არავინ გამოცხადებულა, ასე რომ კრება აღარ შესდგა.

✦ **გორი.** აქ უკვე შესდგა კრება ჩვენის მაზრის თავად-აზნაურობისა საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ მოსალაპარაკებლად.

✦ **პატრონების მოპარვა.** ალექსანდრეპოლში 30 ნოემბერს, როდესაც ვაგონი გახსნეს, შიგ არ აღმოჩნდა 16,000 პატრონა. არ იციან, სად გახსნეს ვაგონი და მოიპარეს პატრონები.

✦ **მიტინგი.** დღეს, 4 დეკემბერს, დიდუბეში დანიშნულია ყველა დარგის მოვაჭრეთა მიტინგი დღევანდელ ჭირ-ვარამზე მოსალაპარაკებლად.

✦ **კრება.** 5 დეკემბერს, დილის 12 საათისათვის, რკინის გზის საპენსიო კასის სადგომში დანიშნულია საპენსიო კასის დელეგატების კრება. კრებამ უნდა მოისმინოს პეტერბურგიდან ჩამოსულ დელეგატების მოხსენება.

✦ **განჯის პოლიცმეისტერი.** **ცნობილი ბაჩურინი**, ტფ. მეოთხე ნაწილის ბო-

---

ფლება სიტყვის, კრების, ხალხის არჩეული კაცები გამოსცემენ კანონებს და განაგებენ მართვა-გამგეობას, მაგრამ მარტო ეს მისცემს რამეს ხალხს? რა არის, მაგალითად, გლეხისათვის თავისუფლება სიტყვის, თუ ის ისევ უმიწყლო იქმნება, ისევ სალდათის დახეულ ფარაჯაში იქმნება გამოხვეული, ისევ მშიერი იქმნება და ვერ ეღირსება მიწიდან ამოსვლას? განა დაცინვა არ იქმნება, უთხრათ ასეთს ადამიანს: თავისუფალი ხარო? დიახ, მას თავისუფლება აქვს, მაგრამ თავისუფლება მშიერ ადამიანისა!

ვისაც გლეხებთან ჰქონია საქმე და ჩაუხედავს მათ გულში, ის დაინახავდა, რომ თანამედროვე განმათავისუფლებელი მოძრაობა მუშა გლეხებს ისევე ესმით, როგორც მათი ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება. მათ გულს არა ხვდება ისე თავისუფლება რაღაც ლაპარაკისა და კრებისა, როგორც ის, რომ აღარ იქმნებიან ქონებრივად მონანი, გაყვლეფილნი და გაძარცულნი, მათ ნაოფლარს არ მიითვისებს სხვა. სრულიად გასამტყუნარი არ არის გლეხი, რომ ასეც ფიქრობს. ბურჟუაზიამ და მის წრეში გაზდილმა ინტელიგენციამ გაიხადა სათაყვანებელ საგნად პოლიტიკური თავისუფლება (თავისუფლება სიტყვის, კრების, კავშირების და. სხ.), მისთვის ეს ყველაფერია. ბურჟუაზიას ხელში აქვს ქონებრივი ძალა და დღეს დაეძებს თავისუფლებას, რომ უფრო თავისუფლად მოიხმაროს თავისი ძალა, უფრო დასტკბეს თავის სიმდიდრით. მაგრამ რა გააჩნია მუშას? რა არის მისთვის მარტო პოლიტიკური, გარეგანი თავისუფლება! თავისუფლად შეეძლება გაყიდოს თავისი მკლავი, თავისუფლად დაეთმოს სხვას?

გვეტყვიან, თავისუფლება უადვილებს ბრძოლას მუშა ხალხს, მაგრამ უადვილებს მხოლოდ. თავისუფლება ძვირფასია ადამიანის განვითარებისათვის, მაგრამ არ კმარა, რომ თავისუფლება ქაღალდზე გამოცხადდეს. საჭიროა, რომ მუშა ხალხს შეეძლოს ამ თავისუფლებით სარგებლობა, რომ ქონებრივად დამოუკიდებელი იყოს, არ იყოს მუდამ მშიერი და შიშველი, როგორც დღეს არის.

მოვიპოვოთ პოლიტიკური და ეროვნული თავისუფლება! მაგრამ მუშა ხალხი არ გაჩერდება აქ. რევოლუცია არ გათავდება, სოფელი არ დაწყნარდება, სანამ მთელი მიწა არ გადაეცემა მიწის მუშებს, სანამ მიწა არ შეიქნება საზოგადო, არ მოხდება მიწის სოციალიზაცია. მუშები არ დაჰყრიან დღეს იარაღს, სანამ, თუ ვერ განახორციელებენ ახლავე მთელს სოციალიზმს, არ მიუახლოვდებიან ძლიერ სოციალისტურ წესწყობილებას, არ მოახდენენ ძირითად ცვლილებებს კაპიტალისტურ წარმოებაში, სანამ თავს არ დააღწევენ იმ აუტანელ ჩაგვრა-შევიწროვებას, რომელშიაც დღეს იმყოფებიან...

ამ მიზნისაკენ მიდის დღევანდელი რევოლიუცია. საქმე, უმთავრესი საქმე რესპუბლიკა და ავტონომია-კი არაა, არამედ ის, რომ რაც შეიძლება მეტად უნდა მიუახლოვდეს დღეს მუშა ხალხი სრულს სოციალიზმს. რაც მოხდა ევროპაში, სრულიად საჭირო არაა, რომ ყველაფერი ის სქემატიურად და დაწვრილებით გაიმეოროს ჩვენმა რევოლუციამაც.

* *

მაგრამ ჩვენი რევოლუცია მარტო ჩვენია? ევროპის ყველა ერები მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი და რუსეთის ამბებმა უკვე შეარყია ბურჟუაზიული დასავლეთი. ჯერ მარტო რუსეთ-იაპონიის ომმა დიდი გავლენა იქონია ევროპაზე. 9 იანვრის სისხლის ღვრამ ერთიან გადააბრუნა საფრანგეთის შინაური პოლიტიკა. რუსეთის თვით-მპყრობელობა უძლიერესი ბურჯი იყო ევროპის რეაქციისა და ევროპის მუშა ხალხი გაფაციცებით თვალყურს ადევნებს თავის ამხანაგების ბრძოლას რუსეთში. ყოველი დამარცხება თვით-მპყრობელისა არის გამარჯვება მთელი ევროპის მუშა ხალხისა. აქ აღმართულ წითელ დროშას სალამით ეგებებიან ყველა მუშები. გამხნევებულნი და წახალისებულნი ემზადებიან ბრძოლისათვის. ავსტრიასა, საფრანგეთში და სხვაგანაც უკვე უერთებენ თავის ხმას რუსეთის მებრძოლებს.

და შეიძლება შორს არ არის ის ჟამი, როდესაც რუსეთში ანთებული ცეცხლი მოედება მთელს ევროპას, და ჩვენ ვიხილავთ მსოფლიო რევოლუციას, მთელ განათლებული ქვეყნის მუშა ხალხის რევოლუციას! მაშინ გაჰქრებიან დედამიწის ზურგიდან იმპერატორები, მეფეები, მთავრები, გაჰქრებიან ხალხის სისხლის მწოველი ბურჟუები, კაპიტალისტები! მაშინ იქნება ნამდვილი ძმობა და ერთობა კაცთა შორის!..

**სიტყვა.**

ქაულად ნამყოფი, დაინიშნა განჯის პოლიცმეისტრად.

✦ **მილიციონერის დაკარგვა.** 27 ნოემბერს სომეხ-მაჰმადიანთა შეტაკების დროს სოციალდემოკრატიულ პარტიის ერთი მილიციონერი ვანო ტორიკაშვილი, სადღაც დაიკარგა. მთელი უბანი გადაატრიალეს, მაგრამ ტორიკაშვილი მაინც ვერსად იპოვნეს.

✦ 23 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე ყასბებს იაგორ ბეგიჯანოვს და არტემ ახვერდოვს თავის სახლში ჰყოლიათ დამალული ორი თათარი, ორუ-მახ-ლი-ისა-ოღლი და იმისი ბიძაშვილი. 2 დეკემბერს ეს თათრები ბეგიჯანოვს და ახვერდოვს ჩაუცილებიათ ორთაჭალის ციხემდე და, რადგან ამას იქით თათრებს სახიფათო აღარაფერი მოელოდათ, გაუსტუმრებიათ სოფლისკენ ბორჩალოს მხარეს.

✦ 1 დეკემბერს ტფ. სამოსამართლო პალატაში გაირჩა საქმე გორის მაზრის აზნაურის ალექსანდრე ესტატის ძის ეგაძისა, რომელსაც ჰბრალდებოდა თავის მეზობლის ივანე სულხანიშვილის მოკვლა. ოლქის სასამართლომ, როგორც მკითხველებმა უკვე იციან, ეგაძეს გადაუწყვიტა ორის წლით პატიმართა რაზმში გაგზავნა. საქმე პალატაში გადავიდა. დამნაშავეს პალატაში იცავდა ნაფიცი ვექილი ი. ა. ბარათაშვილი. სულხანიშვილის მხრივ მომჩივრად იყო ნაფიცი ვექილი გვაზავა, რომელიც უჩიოდა 1,500 მანეთს როგორც ზარალს. პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილება და მომჩივრის მოთხოვნილება დაკმაყოფილა მხოლოდ 900 მან.

## მოწოდება ტფილისის მოქალაქეთა მიმართ.

მძიმე დრო დაგვიდგა ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთ! მთავრობის მძიმე უღლის ქვეშ მყოფ გაჭირვებულებმა ღრმად ამოვისუნთქეთ, როცა 17 ოქტომბრის მანიფესტის ხმა მოგვესმა. „სინიდისის, კრების და კავშირების თავისუფლება"... ამ სიტყვების მომხიბლავმა ჰანგმა სიამოვნება აგრძნობინა უბედურთ და უსინიდისო ექსპლოატაციით შევიწროვებულ ას და ათას მუშაკთ. შესდგა სრულიად რუსეთის ფ.—ტ. მოხელეთა კავშირი, რომელსაც საკვირველის საჩქარით შეუერთდა ფ.—ტ. ყველა მუშაკი—მოხელე.

მაგრამ მთავრობამ, დურნოვოსა და სევასტიანოვის პირით, გადაჭრით უარი სთქვა და აკრძალა ეს კავშირი, ხოლო მისი უმთავრესი დამაარსებელნი 24 საათის განმავლობაში სამსახურიდან დაითხოვა და დაატუსაღა! ამას მოჰყვა ფ.—ტ. მსახურთა საერთო გაფიცვა. და აი, 18 დღეა მთელი იმპერია უფოსტოდ და უტელეგრაფოდ დარჩა ხსენებულ ორის პირის ბოროტ ჯიუტობის მიზეზით.

მაგრამ მთავრობამ ესეც არ იკმარა. პეტერბურგიდან ბრძანება გაუგზავნეს ყველა ფ.—ტ. მმართველობათ, გაფიცულთ ჯამაგირი არ მისცეთო, სანამ მუშაობას არ დაიწყებენო. ამრიგად მთავრობამ გადასწყვიტა უსაშინელესად დასტანჯოს ისედაც შევიწროვებულნი მოხელე მუშაკნი, რომელნიც მხოლოდ იმ ჯამაგირით ცხოვრობდნენ. რაღა ჰქნან ეხლა უბედურებმა, რით ირჩინონ თავი, რით არჩინონ ცოლ-შვილნი? ტფილისის ბიურო, რითაც შეეძლო, დაეხმარა ამხანაგთ: დიდის გაჭირვებით იშოვა ცოტაოდენი ფული, მაგრამ ამით ვერ დააკმაყოფილა ყველანი; ხოლო იმედი ბანკების დახმარებისა, სამწუხაროდ, არ გამართლდა. საჭიროება დიდია, სახსარი კი არაფერია.

დაგვეხმარეთ, მაშ, მოქალაქენო! დაგვეხმარეთ ყველა, ვისაც გულში უღვივის ბრწყინვალე მომავლის იდეალი, ყველა, ვინც თანაუგრძნობს დიად განმათავისუფლებელ მოძრაობას! ჩვენი გამარჯვება—კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება იმ გზაზე წინ გადადგმული, რომელიც მიგვიყვანს სრულს გამარჯვებამდე, მოგვიახლოვებს იმ სადღესასწაულო ჟამს, როცა ძველ წესწყობილების ნანგრევებზე აღსდგება განახლებული, ძლევამოსილი და თავისუფალი რუსეთი.

შემოწირულებანი გთხოვთ მიაწოდოთ ადგილობრივ გაზეთების რედაქციებს ფ.-ტ. კავშირის მოხელეთა ადგილობრივ ბიუროს.

**ფ.-ტელეგრ. კავშირის ტფ. ბიურო.**

## სრულიად რუსეთის გლეხთა კრება

(დასასრული *)

9 ნოემბერი, მეოთხე დღე კრებისა. კრებამ ამ დღეს რეზოლიუციების გამორკვევას შეუდგა. რეზოლიუცია ჩვენს გაზეთში უკვე დაიბეჭდა, **) ამიტომ აქ იმ ინციდენტს შევეხები, რომელიც კრებისა და სოციალდემოკრატებს შორის მოხდა.

სხდომის პირველსავე დღეს კრებამ დაადგინა, მოიწვიოს ორ-ორი წარმომადგენელი სოციალისტ-რევოლიუციონერებისა და სოციალდემოკრატებისა იმ პირობით, რომ მიეცეთ მათ სათათბირო ხმა და არა გადამწყვეტი. ამასთან პირობათ დაუდვეს, ილაპარაკონ მხოლოდ მაშინ, როდესაც კრება მოისურვებს. რაიმე განმარტებას მათ პარტიულ თვალთ-საზრისის მხრივ და მით დახმარება აღმოუჩინონ ამა თუ იმ საკითხის გამორკვევაში. ასეთმა დადგენილებამ სოციალდემოკრატების კონფერენცია არ დააკმაყოფილა. 9 ნოემბრის კრებაზედ გამოცხადდნენ მისი წარმომადგენლები. შემოვიდა სამი დელეგატი სოციალდემოკრატიის პარტიისა. მათ კრება ტაშის ცემით მიეგება. ერთმა დელეგატმა სთქვა, რომ მუშებს ჰსურთ თვით გლეხებისაგან გაიგონ, მართალია თუ არა ის დადგენილება, რომელიც კრებამ მიიღო; მუშები ყოველთვის თავისუფლებისათვის იბრძოდნენ და მოიპოვეს იგი როგორც თავისთვის, ისე გლეხებისათვის და ეხლა მუშები ვერ დასთანხმდებიან იმ დადგენილებას, რომელიც ხმის ნებას არ აძლევს. ნუთუ გლეხებს ჰსურთ უკუაგდონ მუშები.

თავმჯდომარე. თუ შეიძლება მითხარით, მუშათა დეპუტატთა კრება, როდესაც იგი რაიმე ტაქტიკურ კითხვებს არჩევს, მიიღებს თუ არა გლეხთა კავშირის წარმომადგენელს?

ს.-დემოკრატი. მუშათა დეპუტატების კრებამ შეიძლება მიიღოს გლეხთა კავშირის წარმომადგენელი, რადგან ეს კავშირი პარტიას არ შეადგენს.

კრების ერთმა დელეგატმა სთქვა, რომ ს.-დ. წარმომადგენლებს ვერ მივანიჭებთ იმ უფლებებს, რაიც ჩვენს წევრებს აქვთ. ჩვენ უმთავრესად ის აზრი გვაერთებს, რომ მიწა მთელის ხალხის საკუთრება უნდა იყოს. თქვენ გწამთ თუ არა მიწის ნაციონალიზაცია? თქვენის აზრით მიწა უნდა ეკუთვნოდეს მას, ვინც მაზედ მუშაობს თუ არა?

ს—დემ. რაც შეეხება მიწის სოციალიზაციას, უნდა ვსთქვა, რომ ჩვენი სასურველი იდეალი არის სოციალიზაცია ყველა მიწებისა, ყველა ფაბრიკა-ქარხნებისა და საწარმოო იარაღისა. ნაციონალიზაციის საკითხს კი ასე ვწყვეტ: ჩვენ ხელს შევუწყობთ ნაციონალიზაციასაც იმ პირობით, თუ იქნება სრული დემოკრატიზაცია, რასაც გადასწყვეტს დამფუძნებელი კრება. ამ კრებაზე ჩვენ დავიჭერთ იმ პოზიციას და ვიხელმძღვანელებთ იმ მოსაზრებით, რომ არავითარმა რეფორმამ ხელი არ შეუშალოს საწარმოო იარაღის სოციალიზაციას.

კრების წევრი, თქმა არ უნდა, ს—დ. მიზანია მიწა მიანიჭოს მშრომელ ხალხს, მაგრამ საქმე ის არის, რა სახსარს ხმარობენ ამისთვის ს.—დ., როგორ ჰსურთ დაიპყრონ მიწა? მათის აზრით, ეს უნდა მოხდეს კაპიტალიზმის მრავალ გზის სიარულის შემდეგ და ყოველსავე სურვილს ამ ახლო მომავალში მიწის დაპყრობისას ისინი უტოპიად სთვლიან.

სოც.-დემოკრატი. მუშების მედგარმა ბრძოლამ და დაუცხრომელმა მუშაობამ მოიპოვა თავისუფლება...

შჩერბაკი (აწყვეტინებს). მე, მოქალაქენო, არ ვეკუთვნი არც სოციალდემოკრატებს, არც სოციალ-რევოლიუციონერებს, მაგრამ სიმართლით და სასოებით ვემსახურებოდი რუსეთს სამის ხელმწიფის მეფობის დროს და აი იმ სამსახურისთვის რა მიყვეს: ალექსანდრე მეორემ სამშობლოში ეტაპით გამამგზავრა, ალექსანდრე მესამემ საპყრობილეში ჩამამწყვდია, ნიკოლოზ მეორემ-კი ეს იყო ეხლა გამომიშვა სატუსაღოდან. ამიტომ ვაცხადებ, რომ თავისუფლება მარტო მუშებმა არ მოიპოვეს, არამედ მთელმა ხალხმა. მაგრამ ამას თავი მივანებოთ და საქმეს შევუდგეთ.

სოც.-დემოკრატი. როდესაც პარტია აქ გვგზავნიდა, დაგვავალა, მოვითხოვოთ სიტყვის თქმა მაშინ, როდესაც საჭიროდ დავინახავდით და არა მაშინ, როდესაც კრება მოისურვებს თუ ამას არ აგვისრულებთ, უნდა წავიდეთ.

თავმჯდომარე. თქვენ შეგეძლოთ ამ კრებაზედ გამოგეგზავნათ თქვენი წარმომადგენელნი იმ სოფლებიდან, სადაც ისანი მუშაობენ.

ბოლოს მთელმა კრებამ ერთ ხმათ უარჰყო სოც.-დემოკრატების თხოვნა.

ამის შემდეგ ს.-დ. წარმომადგენლებმა წაიკითხეს პარტიის მიერ შემუშავებული რეზოლიუცია:

„გლეხთა კავშირის კრებამ დაადგინა, რუსეთის სოციალდემოკრატიის მუშათა პარტიის წარმომადგენელთ ლაპარაკის ნება მისცეს მაშინ, როდესაც კრება მოისურვებს. ორგანიზაციაში მყოფ მუშათა კონფერენციამ, რომელიც მოწვეულ იქმნა სოციალ-დემოკრატიის პარტიის მოსკოვის კომიტეტის მიერ, დაადგინა: თუ ვინიცობაა გლეხთა კრებამ თავისი გადაწყვეტილება არ შესცვალა და პარტიების წარმომადგენელთ თავისუფლად ლაპარაკის ნება არ მისცა, არ გაჰგზავნოს ოფიციალური დეპუტატები ამ კრებაზე. მაგრამ კონფერენცია ფიქრობს, რომ ამგვარი დადგენილება კრებისა მოხდა მარტოოდენ კრების ბიუროში მყოფ ლიბერალთა გავლენით. მრისხანე რევოლიუცია, რომელიც დაიწყო და წინ მიჰყავს მუშათა კლასს, ვერაფრად ეჭაშნიკათ ლიბერალებს, რომელნიც გამომხატველნი არიან მქონებელ კლასის ინტერესებისა, ამიტომ ისინი სცდილობენ ტკბილის სიტყვებით შეაჩერონ მუშა ხალხი და გლეხობა, რომელნიც თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ მიილტვიან. ამასთან მოსკოვის მუშათა კონფერენცია იწვევს ამხანაგ გლეხებს, უფრო მეტის ნდობით მოეპყრნენ მუშებს და განიმსჭვალონ იმ რწმენით, რომ მარტოოდენ ძალით, მარტოოდენ მოწესრიგებულ, ძმურ ბრძოლით, მედგარ საერთო კავშირით მოიპოვებენ გლეხები და მუშები ფართო თავისუფლებას და მიაღწევენ თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას. ეს რწმენა მუშებმა შეიძინეს გამოცდილებით. ძირს მუშებისა და გლეხების დამჩაგვრელნი!" და სხვა.

ამ რეზოლიუციის წაკითხვის შემდეგ აქა-იქ გაისმა. „ტყუილია, სიმართლეს მოკლებულია"..

ვორონეჟის დეპუტატი. უნდა აღვნიშნო საჯაროდ, რომ გლეხთა კრების გადაწყვეტილება პარტიების შესახებ არ იყო არავის გავლენით შემუშავებული. ამას ვაცხადებ, როგორც წევრი სოციალდემოკრატიის პარტიისა, რომელიც ათი წელიწადია ვმუშაობ ამ პარტიის დროშის ქვეშ. ამასთან მე, როგორც წევრი სოციალდემოკრატიის პარტიისა, ვაცხადებ პროტესტს ჩემის მოსკოვის ამხანაგების საქციელის წინააღმდეგ.

კრება ცოტა ხნით შესწყდა. განახლების შემდეგ იგი შეუდგა რეზოლიუციის მუხლ-მუხლად გარჩევას. რეზოლიუციის შემუშავებით დასრულდა კრება.

---

*) იხ. „ცნ. ფურ." № 2962.

**) სრულიად რუსეთის გლეხთა კრების რეზოლიუცია იხ. „ცნ. ფურ." მე-2953 ნომერში.

---

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი.**

## განცხადებანი

**ტფილისის კომერციულ სასწავლებლის**

სამზრუნველო და პედაგოგიურ საბჭოების შეერთებულმა სხდომამ შესაძლებლად სცნო დაიწყოს სწავლა სასწავლებლის ყველა კლასებში ოთხშაბათს, 7 დეკემბერს. (1—1)

✦ **კბილებს** ✦

ვღებ, ვლომბავ ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ. № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—23).

ამ წლის 11 დეკემბრიდან გამოვა ყოველ დღიური [illegible]

**პატარა გაზეთი**

2 კაპ.

პატარა გაზეთი ებრძვის ვინც გმობს ერთობას

პატარა გაზეთი ებრძვის, ვინც სთრგუნავს თავისუფლებას

პატარა გაზეთი ებრძვის, ვინც ღალატობს ძმობას

დაბარება შეიძლება: ერთის წლით 3 მან. ნახევარის წლით 2 მან. ცალკე ნომერი 2 კაპ.

რედაქტორი ნ. მთავრიშვილი. გამომცემელი ბ. მესხი.

ვინც ამ თვეში დაიბარებს, დეკემბრის ნომრები მუქთად დაურიგდება.

ადრესი: Тифлисъ, Дворцовая, Домъ Дворянства, Редакція „Патара Газети".

ქუთაისში: ვ. ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში. ბათუმში: ალ. გოგიჯანიშვილთან, ფოთში: ალ. ბუჩუკურთან.

„**ცოდნა**" ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.

მიზანი „ცოდნის" მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები გაეგზავნებათ ფას დადებითაც.

იყიდება **დარბაზის მოსართავათ ქართველი მწერლების დიდი სურათები** 30 კ. 50 კ.

ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА".

(წლ.) წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე.**

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნი-ნოვგოროდი.

**კალოშებისა**

და რეზინის სხვა საქონლისათვის

**უდიდესი ჯილდო**

(Grand prix)

პარიზის გამოფენაზე

მიენიჭა რუსეთში მხოლოდ

ამხანაგობას

**რუსეთ-ამერიკის**

**რეზინის მანუფაქტურისას**

ს.-პეტერბურგში,

დაარსებულს 1860 წელს

რეზინის კალოშების

ყიდვის დროს, სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860" და სიტყვას

„С.-Петербургъ"

წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია).

ნარდად გაჭრობას აწარმოებს სავაჭრო სახლი

„**ლეოპოლდ ნეიშელლერი**"

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკსა ტაშკენტს და ტფილისში.

!! ერიდეთ ფალსიფიკაციას !!

**ჰიგიენური საპონი**

ბორნო-ტიმოლისა,

პროვიზორის

**ი. ფ. იურგენსისა**

სპობს ჭორფლსა, ყოველგვარ მუწუკს, სიყვითლესა და დანის დამწვრობას; მოქმედობს მეტის მეტ ოფლიანობის წინააღმდეგ. მშვენიერის სურნელების საუკეთესო სატუალეტო და მაღალის ხარისხის საპონია **ოქროს მედალი, ლონდონში** 1893 წელს

**ერთი ნაჭერი ღირს** 50 კაპ., **ხოლო ნახევარი** 30 კაპ.

ისყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქსა, სააფთიაკო და საპარფიუმერიო მაღაზიაში.

უმთავრესი საწყობი მთელის რუსეთისათვის **გ. ფ. იურგენსთან, მოსკოვში.** (მც. 14—12)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

**კიოსკში**

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი | — | 10 |
| იოსებ დავითაშვილის ლექსები | — | 50 |
| ბნელი, მოთხრობა—მელანიასი | — | 20 |
| ალ. ყაზბეგის I, ტომი | 1 | — |
| II და III ტომი თითო | 1 | — |
| ილ. ჭავჭავაძის I ტომი | — | 70 |
| იგივე II და III ტომი თითო | — | 60 |
| იგივე IV ტ. ორ წიგნად | — | 80 |
| სოფლის კუნძულ, დ. მაჩხანელისა | — | 10 |
| სიბრძნე-სიცრუე — საბა სულხან ორბელიანისა | — | 40 |
| აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო | — | 60 |
| რაფ. ერისთავის I ტომი | — | 60 |
| საქართველოს წარსული დრო—ბოტტოსი | — | 20 |
| აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა | — | 5 |
| ხიბრძნე ბალავარისა | — | 3 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | — | 1 |
| დვინის დაჯენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა | 1 | 5 |
| რძე, მისივე | 1 | 5 |
| ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—ჰენრიხ სენკევიჩისა | — | 8 |
| დასტურ-ლამა | — | 2 |
| სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა | — | 2 |
| ფიზიოლოგია—ფოსტერისა | — | 2 |
| ხენთი რაფფაიო, თარგმანი სომხურიდან გ. ევანგულოვისა | 1 | — |

ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ
ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ
ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ

**КОМПАНІИ ЗИНГЕРЪ**

Необходимы для домашняго употребленія. Образцовы въ конструкціи и исполненіи. Продаются только въ магаз. Комп. Зингеръ.

Отпускъ машинъ съ платежемъ **отъ 1 рубля въ недѣлю.**

Безплатное обученіе шитью и моднымъ художественнымъ вышивкамъ.

Остерегайтесь поддѣлокъ!

**Ручныя машины съ высокимъ рукавомъ во всѣхъ нашихъ магазинахъ отъ 25 руб.**

Болѣе 1200 собственныхъ магазиновъ по всей Россіи!

Магазинная вывѣска. Рисунокъ утв. Отд. пром. и торг. М. Фин.

Фабричное клеймо которымъ снабжены машины.

საკერავი მანქანები ზინგერის ამხანაგობისა

იყიდება მხოლოდ ამხანაგობის საკუთარ მაღაზიებში. ამხანაგობას 1200-ზე მეტი მაღაზია აქვს რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქში. მაღაზიები გაიგება ზედ წარწერით რომელზედაც გამოხატულია ასო „ზ". ნახატი დამტკიცებულია ფინანსთა სამინისტროს სამრეწ. და სავაჭრო განყოფილების მიერ. გაუფრთხილდით, არ მოგატყუონ! ყიდვა მანქანისა შეიძლება ნისიად, და ფულის ნაწილ ნაწილ შემოტანით, კვირაში ერთი მანეთიდან. (25—21).